ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 აგვისტო, 2018 №204 (7749) ფასი: 60 თეთრი

## ანაკლიაში 23 წლის ირანელმა ქალი გააუპატიურა

ბრალდებული თბილისის აეროპორტში დააკავეს

— გვ. 7 —

# „ივანიშვილი თავისუფლების სანაცვლოდ თავის ქონებას იაფად ყიდის“

გვ.2

## ჯელალ ქიქავა: „ევროპელმა მრჩევლებმა მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს“

გვ.3

## „ნინო გვენეტაძე მგლებმა შეჭამეს!“

გელა ნიკოლაიშვილი: „კურიოზია, სიგარეტის მოწევა იკრძალებოდეს და ნარკოტიკის მოწევა იყოს დაშვებული“

გვ.4

## ჯემალ გამახარია: „ქართველებისა და აფხაზების შერიგება ახლო პერიოდში ვერ შედგება“



რუსეთი აფხაზებსა და სამურზაყანოს მოსახლეობას შორის აღვივებს შუღლს, რასაც ვერ ხვდება ხაჯიმბა და რუსულ გეგმებს ზედმიწევნით ასრულებს

გვ.2

## ცხინვალი დუშეთის დაბრუნებასაც ითხოვს

**სამართალი**

### 6 წლის ბავშვს ასპინძის ეკლესიასთან მანქანა დაეჯახა

მძღოლმა ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანა



### გია ფეიქრიშვილის მკვლელობისთვის ცოტნე გოგობერიშვილი დააკავეს

### პროკურორი გივი შენგელია, რომელმაც გიორგი მეტრეველი ცემა, მიხეილ ჯანელიძის მამიდაშვილია

### ავთანდილ ხურციძე და კანონიერი ქურდი რაქდენ შულაია ამერიკის ციხეში დაჭრეს

**ეკონომიკა** გვ.6

### „საბანკო სექტორის მოგებიანობის შემცირება სისტემურ რისკებთან დაკავშირებული არ არის“

### დედაქალაქში ეზოებისა და სკვერების დაზიანების შემთხვევაში ჯარიმები იზრდება

### სატრანსპორტო საშუალებით გარევაჭრობა 1.000 ლარით დაჯარიმდება

ISSN 1987-9385

**5** აამოქმედებს თუ არა კრემლი მოლდოვურ სცენარს საქართველოში?

**4** უკრაინასა და საქართველოს შორის მგზავრობა, სავარაუდოდ, ID ბარათით გახდება შესაძლებელი

**3** პრეზიდენტობის სურვილი ამ დრომდე 31-მა ადამიანმა გამოთქვა

**2** შსს: საჯარიმო ქვითარი POLICE.GE-ზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ჩაბარებულად ითვლება

შორენა მარსაგიშვილი

# „ივანიშვილი თავისუფლების სანაცვლოდ თავის ქონებას იაფად ყიდის“

## ჯელალ ქიქავა: „ევროპელმა მრჩევლებმა მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს“

**ჰატომ თმობს ივანიშვილი საყდრისს, ჰატომ აღაპარაკდა „ოცნება" მეოხე ტუჩზე, ჰოდის ჩამოდის საკაშვილი, ჰა გაჰიგება დაიდო დავით ბაქრაძესთან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ეჰასამთავჰობო ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის ჰრინციპების" ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.**

**გაავსო „ოცნებამ“ ბათუმი დავით ბაქრაძის ფოტოებით**

***– პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე ალაპარაკდა. თქვენი აზრით, ეს რისი მანიშნებელია?***

– იმის, რომ „ქართული ოცნების“ საქმე წასულია. ამას პირდაპირ ხომ ვერ იტყვიან და ნელ-ნელა აპარებენ საზოგადოებას თავიანთ კრახს.

***– რატომ ნელ-ნელა, ფიქრობთ, რომ ამას საზოგადოება ვერ გადაიტანს?***

– საზოგადოება კი გადაიტანს, მაგრამ თავად ვერ გადაიტანენ. ამათი ერთადერთი გადარჩენა იყო ბიძინა ივანიშვილი. საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნების“ კანდიდატი ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ გადააფიქრებინეს.

***– ვინ გადააფიქრებინა?***

– ევროპელმა მრჩევლებმა. მათ ბიძინას სასტიკად აუკრძალეს საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენება.

***– რატომ აუკრძალეს?***

– იმიტომ, რომ ეს ივანიშვილისთვის წამგებიანი იქნება.

***– რატომ იქნება წამგებიანი ივანიშვილისთვის?***

– კაცს გუნდი არ ჰყავს და რა ეპრეზიდენტება.

***– „ოცნება“ მისი გუნდი არ არის?***

– რაის გუნდი? მანდ ყველა მექრთამე და მომპარავია. მაგენს მხოლოდ ფულის შოვნა უნდათ. ივანიშვილს გუნდი არ ყავს და მაგიტომ გადააფიქრებინეს პრეზიდენტობა. ოქტომბრის არჩევნები ამ კორუმპირებულებისთვის საბედისწერო და მძიმე იქნება. ირაკლი კობახიძემ რაკი მეორე ტური ახსენა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარცხს შეგუებული არიან უკვე. მათი გადარჩენა ახლა მხოლოდ დავით ბაქრაძეს შეუძლია.

***– რომელ დავით ბაქრაძეს შეუძლია. დავით ბაქრაძე „ოცნებასაც“ ჰყავს.***

– „ევროპული საქართველოს“ დავით ბაქრაძეზე ვამბობ. გაავსო „ოცნებამ“ ბათუმი მისი ფოტოებით.

***– „ოცნება“ რატომ უნდა ავსებდეს ბათუმს მისი ფოტოებით?***

– იმიტომ, რომ დავით ბაქრაძე, ისევე, როგორც „ევროპული საქართველო“, ივანიშვილის საკუთრებაა. მმართველი პარტია აფინანსებს ბაქრაძეს და ყველაფერს გააკეთებენ მისი გამარჯვებისთვის. ამის სანაცვლოდ ბაქრაძემ ისინი უნდა გადაარჩინოს.

***– ბაქრაძემ როგორ უნდა გადაარჩინოს „ოცნება“?***

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ დანიშნავს. მან ამის შესახებ უკვე მისცა პირობა ივანიშვილს. ივანიშვილი კი იბრძვის ბაქრაძისთვის, მაგრამ მთლად დარწმუნებული არაა, რომ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატს მისი შველა შეუძლია.

***– ასეთი რა უიმედობა სჭირს?***

– გუნდი არ ყავს და ხალხის ნდობა აღარ აქვს. ადრეც გითხარით, რომ მისი გუნდის წევრებმა რუსეთთან დამოუკიდებლად დაალაგეს ურთიერთობები. ახლა ოლიგარქი მოსკოვისთვის საინტერესო და საჭირო აღარ არის. ამიტომაც ჰკითხა რჩევა ევროპელებს.

რამდენადაც მე ვიცი, იმ დონეზეა საქმე მისული, რომ ივანიშვილი თავისი თავისუფლების გამოსყიდვას აპირებს.

***– ვისგან აპირებს გამოსყიდვას?***

– ახალი ხელისუფლებისგან, რომელიც „ოცნებას“ შეცვლის. ძალიან მალე ის საყდრისსაც დათმობს და სხვა ქონებებსაც გაყიდის. რაღაცებს დათმობს და ამის სანაცვლოდ აღარ დაიჭერენ.

ეს კი უშველის თავს, მაგრამ დანარჩენებს რა ეშველებათ? განსაკუთრებით იმ გათახსირებულ ნაციონალებს, რომლებიც დღეს „ოცნების“ სახეებს წარმოადგენენ. ვინც კი დამნაშავე და სისხლიანი იყო, ყველა „ცნებაში“ შევიდა.

***– ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ისინი ახალ პატრონს იშოვიან.***

– აღარ გამოუვათ. ყველაფერს აქვს თავისი ლიმიტი. იმდენი პარტია გამოიცვალა ამ ხალხმა, რომ ლიმიტი ამოწურათ. ხელისუფლება რომ შეიცვლება, ამათ ყველას მოეთხოვება პასუხი.

საქართველოში უნდა დამთავრდეს დრო, როცა ადამიანები დაუსჯელები რჩებოდნენ.

***– მაშინ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებიც უნდა დაისაჯონ.***

– დაისაჯონ. ვინც დამნაშავე და გაფუჭებული იყო, ყველა „ოცნებაშია“. ჩამოვა მიშა და ყველა წავა ციხეში.

***– როდის ჩამოვა მიშა?***

– ძალიან მალე. მას საზღვარზე ფეხი არ ექნება შემოდგმული, რომ მთელი „ოცნება“ გაიქცევა.

***– არჩევნებისთვის აპირებს დაბრუნებას?***

– არჩევნებისთვის სპეციალურად არ ჩამოვა.

***– სპეციალურად რატომ?***

– ხელისუფლება ხალხს იმით აშინებს, რომ მიშა მოდის, მიშა მოდისო. სააკაშვილი არჩევნების მერე ჩამოვა და ქვეყნის შენებას გააგრძელებს. ბიუჯეტის ვირთხებს აუცილებლად გაპარსავს. რაც სახლში წაიღეს, სულ უკან მოატანინებს. წაღებულს ივანიშვილიც მოიტანს. ის მზადაა თავისი ქონება 20-25% იაფადაც კი გაყიდოს. ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობს.

***– სად ილაპარაკა?***

– თავის ინტერვიუში. თქვა, ინვესტორი თუ გამოჩნდება, რაღაცებს 20-25%-ით ნაკლებად მივყიდიო. ამაზე პირდაპირ როგორ თქვას, რომ ქონებას ყიდის. საყდრისთან განშორება ცოტა გაუჭირდება, მაგრამ მაგასაც გაყიდის.

***– საყდრისთან რატომ გაუჭირდება განშორება?***

– ხეებზე, ქვებზე და მეტალზეა გადარეული ეს კაცი. საყდრისში ოქროს მოიპოვებს, მაგრამ მოუწევს ამ ოქროსთან განშორება. თავისუფლებას ყიდვა უნდა. შემიძლია გითხრათ, რომ დამთავრებულია „ოცნების“ საქმე. ივანიშვილს ახლა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენა სურს. მის გარეშე კი ესენი არაფერს არ წარმოადგენენ.

# ცხინვალი დუშეთის დაბრუნებასაც ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**ბოლო დღეებში ცხინვალში დიდი სტუმრიანობა იყო. ადგილობრივი მედიის ცნობით, საზეიმო ღონისძიებები მთლად ისეთი არ გამოვიდა, როგორც დააანონსეს, მაგრამ მაინც გაერთო ხალხი.**

გართობა, საზეიმო მიტინგები და ძიგძიგი კი რუსეთის მიერ ცხინვალის აღიარების 10 წლისთავს უკავშირდებოდა.

ამ ზეიმს დაამთხვიეს ყოველთა ოსთა ყრილობაც. ამ ყრილობის შესახებ „ახალი თაობა“ ადრეც წერდა. ყრილობაზე ოსებს ყაზბეგის რაიონის ნაწილის დაბრუნება უნდა მოეთხოვათ.

თავდაპირველად ყრილობა 24 აგვისტოს უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო შეკრება რამდენიმე დღის დაგვიანებით შედგა. ეს რამდენიმე დღე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოსებს გეოგრაფიული მადა გაზრდოდათ. მათ ყაზბეგის გარდა, დუშეთის ნაწილიც მოითხოვეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ ისტორიულ ყრილობაში ოსები 97 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. მათი მტკიცებით, ბოლშევიკებმა თავის დროზე, საქართველოს გადასცეს აღმოსავლეთ ოსეთის კუთვნილი მიწები.

ოსი ისტორიკოსების მტკიცებით, აღმოსავლეთ ოსეთი ყაზბეგის რაიონის ნაწილს, კერძოდ თრუსოს ხეობას მოიცავდა. ეტყობა ისტორიკოსები უფრო საფუძვლიანად ჩაუღრმავდნენ წარსულს და დაადგინეს, რომ აღმოსავლეთ ოსეთში დუშეთის რაიონის ნაწილიც შედიოდა.

ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ ოსეთი მტკვრისა და არაგვის შესართავამდე იყო გადაჭიმული. ყრილობას რამდენიმე დღით რომ დაეგვიანებინა, ალბათ მცხეთასაც აღმოსავლეთ ოსეთში უკრავდნენ თავს.



მსოფლიოს 97 ქვეყნიდან ჩამოსულმა ოსებმა მსოფლიოს მოუწოდეს, რომ აღმოსავლეთ ოსეთის დაბრუნებაში დაეხმარონ. თურმე ნუ იტყვით და მტარვალ ქართველებს, ყაზბეგიდან და დუშეთიდან ოსები ძალის გამოყენებით გაუყრიათ.

ოსები ფიქრობენ, რომ დადგა ჟამი აღმოსავლეთ ოსეთის დაბრუნებისა. ამ სულელურ გამოხტომაზე სერიოზული პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ არც პასუხის გარეშე დატოვება იქნება კარგი. საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანას დროებით დიდი ალანია უნდა მოუწოდოს და თქვას, არაოსი იყოს, ვინც დიდ ალანიას არ შემოუერთდესო.

აღმოსავლეთ ოსეთის დაბრუნების გარდა, ოსები მსოფლიოსგან გენოციდის აღიარებასაც ითხოვენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართულმა მხარემ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი იმ გენოციდისთვის, რომელიც 1920 წელს ოსებს მოუწყვეს. მაშინდელი გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯუღელმა ჯავის რაიონში სეპარატისტებს ქორივით ჩაუქროლა და ოსები ამას უწოდებენ გენოციდს.

საზეიმო ღონისძიებებზე არსად ჩანდა ედუარდ კოკოითი. მას კომიკური გარეგნობა კი ჰქონდა, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს აღიარა რუსეთმა ცხინვალი. თავის დროზე მას რუსებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა.

ოსური მედიის ცნობით, სწორედ რუსი ჩინოსნების მოთხოვნით არ გააჭაჭანეს კოკოითი საზეიმო ღონისძიებებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თრუსოს ხეობის დაბრუნებაზე ლაპარაკი პირველმა მან დაიწყო.

სპეციალურად საზეიმო ღონისძიებებისთვის რამდენიმე ოსი ალპინისტი, ერთ-ერთ მთაზე აფოფხდა და მას ალანიის პიკი უწოდა. მთა ვახსენეთ და ბარემ გეტყვით, რომ მათ მყინვარზეც აქვთ პრეტენზია.

ამბობენ, რომ ეს ოსური წარმოშობის მთაა. ამ შეშლილ სამყაროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მთა როგორ უნდა იყოს ოსური წარმოშობის, ეს მხოლოდ ამ აღმოჩენის ავტორებს ეცოდინებათ.

# შსს: საჯარიმო ქვითარი POLICE.GE-ზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ჩაბარებულად ითვლება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვიდეოჯარიმებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს და მოქალაქეებს შეახსენებს, რომ საჯარიმო ქვითარი პოლიცე.გე-ზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს დაჯარიმებული პირისთვის ჩაბარებულად ითვლება.

უწყებაში ამბობენ, რომ ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესის შესაბამისად, ვებგვერდზე ვიდეოჯარიმის ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება დაიწყეს. შსს-ს განმარტებით, 2017 წლის 1 ნოემბერს ამოქმედებული რეგულაციის თანახმად:

სამართალდამრღვევს, ჯარიმის დაფიქსირებისთანავე, დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეცნობება;

საგზაო უსაფრთხოების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ვიდეოჯარიმის შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმს) საშუალებით მიღების შემდეგ, ჯარიმის 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, პირი სარგებლობს 20%-იანი შეღავათით;

თუ პირი ვიდეოჯარიმას მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მას ფოსტის მეშვეობით გაეგზავნება;

ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება;

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებგვერდზე: www.police.ge;

საჯარიმო ქვითარი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს შესაბამისი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა;

ვიდეო ან ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. გადაუხდელობის შემთხვევაში, მას დაერიცხება საურავი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში – ამოქმედდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იძულებითი აღსრულების წესი;

ვიდეოფირსა და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა 1 წლამდე გაიზარდა. მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მომსახურება მიიღოს ბანკების, სწრაფი გადახდის აპარატების და მომსახურების სააგენტოს აპლიკაციის საშუალებით;

უწყებაში ასევე აღნიშნავენ, რომ ფოტო ან ვიდეოფირზე დაფიქსირებულ ჯარიმებზე ქულათა კლების სისტემა არ ვრცელდება.

– აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ვიდეოდაჯარიმების სისტემას შიდა სატრანზიტო სანომრე ნიშნით მოძრავი ავტომობილებიც დაექვემდებარა. მათზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრები, ასევე, გამოქვეყნდება პოლიცე.გე-ზე. – აცხადებენ უწყებაში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნინო გვენეტაძე მგლებმა შეჭამეს!“

## გელა ნიკოლაიშვილი: „კურიოზია, სიგარეტის მოწევა იკრძალებოდეს და ნარკოტიკის მოწევა იყოს დაშვებული“

ნონა ცაბაძე

### „ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს

***– ბატონო გელა, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ ნარკოპოლიტიკას?***

– გაურკვეველ სიტუაციაში არის ხელისუფლებაც და საზოგადოებაც იმ გადაწყვეტილების შემდეგ, რაც მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ და იმ მესიჯების მერე, რასაც აგზავნიან ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლები თუ არასამთავრობოები საზოგადოების მისამართით.

***– რა მესიჯებზე საუბრობთ?***

– მათი განცხადებებიდან გამომდინარე გაჩნდა განცდა, რომ დღეს თუ არა ხვალ, არანაირი ნარკოტიკის მოხმარება არ დაისჯება და ამას მოჰყვება ის, რომ აღარც გასაღება დაისჯება.

***– გასაღების დაუსჯელობაზე არ ყოფილა საუბარი.***

– მართალია, არავინ ამბობს, რომ გასაღება არ უნდა დაისაჯოს, მაგრამ როდესაც მოხმარებაზე საერთო ლიბერალიზაციას აცხადებ, ეს მოხმარება გასაღება-გავრცელების გარეშე არ არსებობს, ხომ?! ციდან ხომ არ იყრება ეს ნარკოტიკები, ამიტომ, ბუნებრივია, ეს მოლოდინია და გადაწყვიტეს ნარკომოვაჭრეებმაც, რომ მათთვის სანატრელი ხანა დადგა და არავინ არაფერს აღარ შეუზღუდავს.

***– ამ დროს რას აკეთებს სამართალდამცავი უწყება?***

– პოლიციაც დაბნეულია, თუმცა ის კვლავ დგას თავის პოზიციაზე, რომ დღეს მოქმედი კანონი უნდა შესრულდეს. დღეს მოქმედი კანონით კი მოხმარება-გავრცელება ისჯება. აქედან გამომდინარე, ამ ორმა შემადგენელმა გამოიწვია ის, რომ ბოლო ხანებში 99 ნარკომოვაჭრე დაიკავეს.

უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლება, რომ შეიძლება მოხმარებისთვის არ დავაკავოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ლეგალიზაციას.

***– როგორია ბოლო პერიოდის სტატისტიკა, რამდენად იმატა ნარკოდანაშაულმა ქვეყანაში?***

– ბოლო პერიოდში ყველაზე მეტად რამაც იმატა, ეს არის ოჯახური ძალადობის ფაქტები. რაც შეეხება ნარკოტიკებს, ძნელია თქმა, იმატა თუ იკლო. აქ საუბარია იმაზე, გამოვლენა რამდენად მოხდა და დაკავება, თორემ მე ვფიქრობ, რომ ეს სტატისტიკა მეტ-ნაკლებად ერთი და იგივეა. სიტუაციის გაუმჯობესება რომ არ ხდება, რომ არ იკლებს მოხმარება, სწორედ ეს არის საგანგაშო. კურიოზია, სიგარეტის მოწევა იკრძალებოდეს და ნარკოტიკის მოწევა იყოს დაშვებული.

***– დღეს უზენაესი სასამართლო თავმჯდომარის გარეშეა დარჩენილი. პრეზიდენტმა უარი თქვა, წარედგინა კანდიდატურა. რატომ დაიხია მარგველაშვილმა უკან?***

– ეს პრეზიდენტის ვალდებულება იყო, წარედგინა თავისი კანდიდატი. უფლება კი არა, არამედ ვალდებულება! მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პასუხისმგებლობიდან გაქცევაა.

***– რას იტყვით არასამთავრობო ორგანიზაციებზე?***

– პასუხისმგებლობიდან გაქცევაა არასამთავრობოების მხრიდანაც, რომლებსაც ძალიან ეადვილებათ ხოლმე კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, რომ მაშინ მათ აეღოთ პასუხისმგებლობა და მათ დაესახელებინათ, ისინიც გაექცნენ ამ პასუხისმგებლობას. არც ერთი მხარე რომ არ გაქცეოდა პასუხისმგებლობას, ძალიან ადვილად იყო შესაძლებელი, რომ შეეჯერებინათ კარგი კანდიდატურა და ეს წარმოეჩინათ ისე, როგორც პრეზიდენტის კანდიდატურა.

***– იყო კარგი კანდიდატები?***

– თავისუფლად შეეძლოთ კარგ კანდიდატზე შეჯერება, არსებობს ასეთი კანდიდატები. იგივე ვინც დასახელდა, გაიჟღერა რამდენიმე კანდიდატმა, რომლებიც სავსებით მისაღები იქნებოდნენ თავისი ბიოგრაფიიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგრამ ვერ გაბედა ვერავინ რატომღაც და ეს არის პასუხისმგებლობიდან გაქცევა. შიში იმისა, რომ მერე მე მომთხოვენ პასუხს, ამან რომ არ გაამართლოს. კი ბატონო, მეორე მხარეც არის, მგლების ხროვაში უნდა მოხვდეს ის ადამიანი.

***– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?***

– დიახ. ანა დოლიძემ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა უწოდა ამას და მეტ-ნაკლებად სწორი შეფასებაა იმიტომ, რომ იმ მგლების ხროვაში მოხვედრა არაა მარტივი საქმე. ხომ ვნახეთ არა, ნინო გვენეტაძე შეჭამეს მგლებმა! ეს ფაქტია.

***– ვერ გაუძლო?***

– ვერ გაუძლო ამ ბრძოლას და გამოვიდა ისე, რომ ამ მგლებმა შეჭამეს. მგლების საჭმელად რომ მიუშვან, ალბათ ერიდებიან ისინიც, ვინც ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ასევე ძალიან ძნელია, დაითანხმო კანდიდატები, ამ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაში რომ მიიღონ მონაწილეობა.

***– მაშინ გამოდის, რომ შიგნით სასამართლო სისტემაში არ არის ჯანსაღი სიტუაცია.***

– რა თქმა უნდა, არ არის ჯანსაღი სიტუაცია და ესეც ხელისუფლების ბრალია. არა იმიტომ, რომ ეს მოსამართლეები დატოვა, არამედ იმიტომ, რომ იუსტიციის საბჭო ამ შემადგენლობით დატოვა და არ შეცვალა მისი დაკომპლექტების წესი!

იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის ფაქტიურად კოტე კუბლაშვილის მიერ დაკომპლექტებული. კორპორატიული, რაღაც მაფიოზური დაჯგუფება შეიქმნა და ამის დაშლა იყო საჭირო. ერთი ხელის მოსმით ვერ გაუშვებდნენ ყველას, მაგრამ შეეძლოთ კანონი მიეღოთ ისეთი, რომლის მიხედვითაც დაკომპლექტების წესი შეიცვლებოდა და იქ ეს სიტუაცია არ იქნებოდა, რაც დღეს არის.

## სოფო მოსიძე მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი აღარ არის

სოფო მოსიძემ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა. როგორც მან „ნეტგაზეთს“ უთხრა, ამ პოსტზე ოთხი წელი იმუშავა, რაც საკმარისი დრო იყო.

მისი თქმით, მთავრობის ადმინისტრაციაში 2018 წლის აგვისტოდან აღარ მუშაობს. კითხვაზე, სად გააგრძელებს მუშაობას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უკვე ყოფილი ხელმძღვანელი, სოფო მოსიძე ამ საკითხზე ამ ეტაპზე კომენტარს არ აკეთებს. მოსიძე ამ თანამდებობას 2014 წლის სექტემბრიდან იკავებდა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის პოზიცია ვაკანტურია. მთავრობის ადმინისტრაციაში „ნეტგაზეთს“ უთხრეს, რომ პრესსამსახურის ხელმძღვანელს პრემიერი დაასახელებს.

## ლევან თარხნიშვილი: ადამიანები, რომლებიც წინა არჩევნებზე კომისიებში წარდგენილი იყვნენ, როგორც „ოცნების“ წარმომადგენლები, ახლა დანიშნული არიან, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები

– ადამიანები, რომლებიც წინა არჩევნებზე კომისიებში წარდგენილი იყვნენ, როგორც „ოცნების“ წარმომადგენლები, ახლა დანიშნული არიან, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები საერთოდ, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება არის პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება და ამაზე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე საერთაშორისო დამკვირვებლები საუბრობენ, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა, ლევან თარხნიშვილმა ჟურნალისტებს გუშინ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ბეჟაშვილის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განუცხადა.

მისი შეფასებით, ჯერჯერობით ჩანაწერების ავთენტურობა უნდა დადასტურდეს. მისივე თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წინა არჩევნებზე იყვნენ წარმოდგენილი, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, დღეს დანიშნული არიან, როგორც არაპოლიტიკური და დამოუკიდებელი კანდიდატები.

– სამწუხაროა, რომ ცესკომ არაფერი არ გააკეთა ამ პრობლემის მოგვარებისთვის. რაც შეეხება თვითონ აუდიოჩანაწერებს, ეს შესასწავლია. ზოგადად, პრობლემა რომ არსებობს, ყველამ ვიცით და ის, რომ ამ არჩევნებისთვის ამ პრობლემას დაემატა კიდევ ერთი ფაქტორი, რომ ის ადამიანები, რომლებიც წინა არჩევნებზე იყვნენ წარდგენილი, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, დღეს დანიშნულები არიან როგორც არაპოლიტიკური და დამოუკიდებელი კანდიდატები. შესაბამისად, პრობლემა არსებობს, ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ამის შესახებ შეგვიძლია დამატებით მას შემდეგ ვიმსჯელოთ, რაც ამ ჩანაწერების ავთენტურობა დადასტურდება, – განაცხადა ლევან თარხნიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარადგინა ვიდეომასალა, სადაც, მისივე თქმით, საუბარია იმაზე, თუ როგორ აკომპლექტებს „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი საარჩევნო ადმინისტრაციებს, როგორ აწვდის სიებს საოლქო კომისიებს და როგორ ხდება მათთან თანამშრომლობა. მისი თქმით, ჩანაწერებში ჩანს, რომ კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირდაპირ კონტაქტზეა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის კრწანისის კომისიის კურატორთან.

## 10 პარტია ცესკოს მიმართავს

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ოპოზიციური პარტიები ცესკოს რეკომენდაციებით მიმართავენ. ხელმომწერთა განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თანმიმდევრული მუშაობა მართებს, მათ შორის, შესაბამისი კადრების გადამზადების კუთხით.

პარტიების განცხადებით, პროცესში მნიშვნელოვანია, პროფესიული ნიშნით შერჩეული კადრების წარმომადგენლობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე გაიზარდოს. მანამდე კი, სანდოობის მაღალი ხარისხისათვის, ხელმომწერები ცესკოს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას ურჩევენ:

1. საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრების შერჩევისას უზრუნველყოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, მათ შორის შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების მეშვეობით, ნაციონალური თუ რეგიონული სატელევიზიო საშუალებების, ბეჭდვითი და ინტერნეტსივრცის გამოყენებით;

2. გაწეროს და საჯაროდ ცნობილი გახადოს კონკრეტული და მკაფიო შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც განუხრელად იქნება დაცული საუბნო კომისიის პროფესიული წევრების შერჩევის პროცესში;

3. უზრუნველყოს შერჩევის პროცესისას ზეპირი გასაუბრების ჩატარების შესაძლებლობა საოლქო კომისიების წევრების მიერ და შესაძლებელი გახადოს აღნიშნული გასაუბრების საჯარო ტრანსლირება ცესკოს ვებგვერდის მეშვეობით;

4. მოახდინოს ცესკოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება ცესკოს ვებგვერდის საშუალებით.

განცხადებას ხელს 10 პარტია აწერს. მათ შორის არიან: „ახალი საქართველო“ , „ევროპელი დემოკრატები“, „ევროპული საქართველო“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ)“, „თავისუფალი დემოკრატები“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკური პარტია“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ლეიბორისტული პარტია“.

ნეტგაზეთი

## პრეზიდენტობის სურვილი ამ დრომდე 31-მა ადამიანმა გამოთქვა

საქართველოს პრეზიდენტობისთვის სურვილი 31-მა ადამიანმა გამოთქვა, თუმცა ამ დროისთვის ცესკოს ოფიციალურად მიმართა 30-მა სუბიექტმა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 14 სუბიექტის/საინიციატივო ჯგუფს კანდიდატის დაყენებაზე მოთხოვნა უკვე დაურეგისტრირა, ხოლო 16 სუბიექტის მოთხოვნას კვლავ განიხილავს.

ცესკოს ჯერჯერობით არ დაურეგისტრირებია ზურაბ ჯაფარიძე, შალვა ნათელაშვილი, დავით ბაქრაძე, დავით უსუფაშვილი, კახა კუკავა და კიდევ რამდენიმე კანდიდატი. გრიგოლ ვაშაძის წარმდგენ ოპოზიციურ გაერთიანებას კი ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის კვლავაც არ მიუმართავს კანდიდატის წარდგენის მიზნით.

საინიციატივო ჯგუფებსა და სუბიექტებს საკუთარი კანდიდატის წარდგენის მიზნით 8 სექტემბრამდე შეუძლიათ მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს გაიმართება.

ნეტგაზეთი გთავაზობთ საარჩევნო სუბიექტების/საინიციატივო ჯგუფების ჩამონათვალს, რომელთაც ცესკოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატების წარდგენის მიზნით მიმართეს.

ნეტგაზეთი

## ირაკლი კობახიძე: „ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვს“

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვებას გამორიცხავს. კობახიძე დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს კანდიდატი, რომელსაც მმართველი გუნდი დაუჭერს მხარს.

მისივე თქმით, რეალური შანსია, რომ არჩევნები პირველივე ტურში დასრულდეს.

– ჩვენი მხარდაჭერა არის +/-50% და ეს დადასტურდა თვითმმართველობის, ასევე საპარლამენტო არჩევნებზე. არის რეალური შანსი, რომ არჩევნები პირველივე ტურში დასრულდეს და ასევე არის იმის შანსი, რომ მეორე ტური გაიმართოს. საბოლოო ჯამში, ჩვენ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი აუცილებლად მოიგებს ამ არჩევნებს. ოპოზიციას რეალურად შანსი არ აქვს, ეს არის დღევანდელი ვითარება. დიდ სხვაობას წინა არჩევნებთან შედარებით არ ველოდები, აქედან გამომდინარე, ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ იმის შანსი, რომ პირველ ტურში აიღონ 15-20%-ზე მეტი, – განაცხადა კობახიძემ.

ნეტგაზეთი

# ჯემალ გამახარია: „ქართველებისა და აფხაზების შერიგება ახლო პერიოდში ვერ შედგება“

გულიკო ბალაძე

**რატომ უნდათ რუსებს აფხაზებისთვის პრობლემის შექმნა? აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიას განცხადებით, დღეს, ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რუსეთის აღიარებიდან 10 წლის შემდეგ, ძალიან ბევრი აფხაზი ენგურს გაღმა აცნობიერებს, რომ მათი გადარჩენის გზა ქართული სახელმწიფოს წიაღში დაბრუნებაა.**



– დღეს ენგურს გაღმა აცნობიერებენ, რომ მათი გადარჩენის გზა ქართული სახელმწიფოს წიაღში დაბრუნებაა, მაგრამ, სანამ რუსეთის ბაზა აფხაზეთში იარსებებს, ქართველებისა და აფხაზების შერიგების პერსპექტივა ახლო პერიოდში არ არსებობს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ჯემალ გამახარია.

***– ბატონო ჯემალ, ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აფხაზეთის აღიარების 10 წლისთავს აფხაზეთის მოსახლეობა რა ვითარებაში ხვდება?***

– აფხაზების დამოუკიდებლობა ფიქციაა. რუსეთი მათ ნამდვილ დამოუკიდებლობას არასოდეს დაუშვებს. ძალიან ბევრი აფხაზი დღეს ენგურს გაღმა აცნობიერებს, რომ მათი გადარჩენის პერსპექტივა ქართული სახელმწიფოს მფარველობაში დაბრუნებაა.

***– გასაგებია, დღეს ბევრი აფხაზი და, ზოგადად, აფხაზი საზოგადოება შეიძლება აცნობიერებს, რომ მათი გადარჩენა ქართული სახელმწიფოს წიაღში დაბრუნებაა, მაგრამ მთავარია, ამას რეჟიმი თუ აცნობიერებს, რომელიც დღეს არის ოკუპირებულ აფხაზეთში და რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით სარგებლობს? მოგეხსენებათ, გალის რაიონში არის რუსეთის სამხედრო ბაზა, რომელიც შეიქმნა ღიად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. მანამდეც იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე (გუდაუთაში) სამხედრო ბაზა და საიდუმლო სამხედრო ლაბორატორიაც.***

– მთელი ამ ტერიტორიის ბატონ-პატრონი დღეს არის რუსეთის მეშვიდე სამხედრო ბაზა და არა ხაჯიმბა და ნადარაია.

***– რამდენად წარმოგიდგენიათ ამ სიტუაციაში დეოკუპაცია, აფხაზების ქართველებთან ერთად ცხოვრება? რამდენად არის მოსალოდნელი მოვლენების ამგვარი განვითარება?***

– რა თქმა უნდა. სანამ რუსეთის ბაზა აფხაზეთში იარსებებს, ჩვენ შერიგების პერსპექტივა არ გვაქვს. ამიტომ ქართველებისა და აფხაზების შერიგება მაინცდამაინც ახლო პერიოდში ვერ შედგება, თუმცა, საქართველოს მთავრობის მხრიდან შერიგებისთვის ძალიან სერიოზული ნაბიჯები იდგმება.

***– კერძოდ, რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ თუნდაც იმ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც საქართველოს მთავრობამ აპრილში გამოაქვეყნა.

***– მთავრობის ინიციატივა შერიგების შანსს იძლევა?***

– ეს არის ერთადერთი სწორი და ეფექტური გზა შერიგებისკენ. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას, რომელიც აფხაზ ახალგაზრდობას გზას უხსნის ქართული უმაღლესი სასწავლებლებისკენ. აფხაზ ახალგაზრდებს შეეძლებათ, ქართული უმაღლესი სასწავლებლების მეშვეობით მსოფლიოს ნებისმიერ სასწავლებელში ისწავლონ, თანაც მათთვის სწავლა უფასო იქნება.

***– რა დაჯდება მათი სწავლა?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზეთიდან ჩამოსული ახალგაზრდების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება წელიწადში 20 ათასი ლარით დაფინანსდება. ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებაა. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც, სხვა ზომებთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი შერიგების გზაზე.

***– რომელ სხვა ზომებზე საუბრობთ?***

– გულისხმობ ეკონომიკურ ღონისძიებებზე, რომლებიც საქართველოს სამშვიდობო ინიციატივაშია ასახული. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს და დააჩქაროს შერიგების პროცესი. სხვა გზა ჩვენ არ გაგვაჩნია. სხვა გზა მიდის ჩიხისკენ და, საბოლოო ჯამში, დაღუპვისკენ.

***– მართალი გითხრათ, გულზე მომხვდა თქვენი ნათქვამი, რუსეთის ბაზის პირობებში აფხაზებისა და ქართველების შერიგების პერსპექტივა ნაკლებიაო.***

– შერიგებას პერსპექტივა გვაქვს, მაგრამ რუსული სამხედრო ბაზის ყოფნა ამ პროცესს აფერხებს. თუმცა, რუსული ბაზები აფხაზეთში დღეს არის და ხვალ იქ არ იქნება. ოკუპაციის პირობებში შერიგებას, რა თქმა უნდა, დიდი მომავალი და პერსპექტივა არ აქვს, მაგრამ საქართველოს მთავრობის მხრიდან ოკუპაციის პირობებშიც იდგმება ძალიან სერიოზული ნაბიჯები შერიგებისაკენ, რაზეც მე მოგახსენეთ.

***– ძალიან ხშირად, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რუსეთთან იწყება საუბარი, კრემლი, პუტინი გვეუბნება, რომ უმჯობესი იქნება, მოველაპარაკოთ აფხაზებსა და ოსებს. ოკუპაციის პირობებში აფხაზებსა და ოსებთან დალაპარაკება რამდენად არის შესაძლებელი?***

– ეს არის მორიგი რუსული ცინიზმის გამოვლინება. ისინი, ერთი მხრივ, გვეუბნებიან, აფხაზებსა და ოსებს მოელაპარაკეთო, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ასეთი დიალოგი რუსული შუამავლობის გარეშე არ შედგეს.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანებისთვის გადაადგილების უფლება არის შეზღუდული და უმკაცრესად კონტროლდება ნებისმიერი კონტაქტი აფხაზებისა ქართველებთან არა მხოლოდ იქ არსებული დე ფაქტო ხელისუფლებისაგან, არამედ, პიროვნულ დონეზეც კი.

***– როგორ კონტროლდება?***

– ყველა ის ადამიანი, რომელიც ენგურს აქეთ გადმოდის ან რაღაც კავშირი აქვს ქართველებთან, ყველა ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობს, მკაცრი კონტროლისა და ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშაა. ერთი სიტყვით, სხვა რამეს აცხადებენ, საქმით კი სულ სხვას აკეთებენ.

***– მოკლედ, სანამ რუსეთი ძლიერია და ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბაზები აქვს განთავსებული, მანამ აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობები იქნება იმ დონეზე, რომელზეც არის დღეს.***

– დიახ, ძირითადად ასეა, თუმცა, სასიკეთო ძვრები არის, მაგრამ საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ვერ მიგვიყვანს სრულ შერიგებამდე, ჩვენი ქვეყნის გამთლიანებამდე, სანამ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ჯარი დგას და საოკუპაციო რეჟიმი არსებობს.

***– აფხაზებს დღეს ბევრი პრობლემა აქვთ. 1992-93 წლების ომის პერიოდში აფხაზეთის დაპყრობაში დიდი როლი ითამაშეს სომხებმა. ამიტომ მათ ახლა დიდი პრეტენზიები აქვთ. მათ უნდათ, ამ პატარა აფხაზეთში ე.წ. სომხური ავტონომია შექმნან. ჯერ თქვეს, კულტურული ავტონომია გვინდაო, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური ავტონომიის სურვილიც გახმოვანდა.***

– მინდა, ძალიან მკაფიოდ და ცალსახად გითხრათ – აფხაზეთში მცხოვრები სომეხი არასოდეს წამოაყენებს არანაირ პრეტენზიას რაღაც ავტონომიაზე, თუ ეს არ იქნება სანქცირებული მოსკოვიდან და თუ კრემლში არ იქნება ამგვარი რამის განხორციელების სცენარი დაწერილი.

***– რატომ უნდათ რუსებს აფხაზებისთვის პრობლემის შექმნა?***

– იმიტომ, რომ ერთი რამ ცალსახაა – რუსები აფხაზებს არ ენდობიან და აფხაზეთში მათ მთავარ დასაყრდენ ძალად სომხობას მიიჩნევენ. როცა რუსები დარწმუნდებიან, რომ აფხაზები ღიად გამოდიან მათ წინააღმდეგ და საქართველოსკენ იხედებიან, ეს მექანიზმი ამუშავდება. ამ დროისთვის კრემლში დაწერილი აქვთ სხვადასხვა სცენარი.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, ამისთვის დაწერილი აქვთ სამურზაყანოელების გააფხაზების სცენარი. ამისთვის სჭირდებათ სამურზაყანოელების გააფხაზების პოლიტიკა. რუსეთი აფხაზებსა და სამურზაყანოს მოსახლეობას შორის აღვივებს შუღლს, რასაც ვერ ხვდება ხაჯიმბა და რუსულ გეგმებს ზედმიწევნით ასრულებს, ან ხვდება და საკუთარ ერს შეგნებულად ღალატობს, როდესაც სამურზაყანოელებსა და აფხაზებს ერთმანეთს აპირისპირებს. ეს ყველაფერი მოსკოვიდან იმართება, რაც აფხაზი ეთნოსის წინააღმდეგ არის მიმართული. კრემლს სურს, აფხაზი ეთნოსი მორჩილების ქვეშ ჰყავდეს. სხვანაირად, მათ აუმხედრებენ, ერთი მხრივ, სომხებს, მეორე მხრივ, გალელებს. ეს არის რუსული პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი აფხაზეთში ხაჯიმბას ხელით ახორციელებს.

***– ხაჯიმბა არ იქნება, სხვა ხაჯიმბას მოძებნიან.***

– დიახ, ხაჯიმბა განზოგადებული პირია, როგორც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელი.

**რუსეთი აფხაზებსა და სამურზაყანოს მოსახლეობას შორის აღვივებს შუღლს, რასაც ვერ ხვდება ხაჯიმბა და რუსულ გეგმებს ზედმიწევნით ასრულებს**

## „დაუშვებელია, ქვეყანას ჰყავდეს ოპოზიციონერი პრეზიდენტი“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დიმიტრი ხუნდაძე მოსახლეობას მოუწოდებს, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა მისცენ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ დამოუკიდებელ კანდიდატს. ხუნდაძე ამბობს, რომ სხვა შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ ქვეყანას ოპოზიციონერი პრეზიდენტი ჰყავდეს, რაც, მისი შეფასებით, არასტაბილურობას დაუდებს საფუძველს.

– საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ცნობილია მოსახლეობისთვის და დღესაც გავიმეორებ, რომ უმჯობესი იქნებოდა „ქართულ ოცნებას“ ჰყოლოდა საკუთარი კანდიდატი, მაგრამ, ამასთანავე, გუნდის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. სულ რამდენიმე დღეში ჩვენი პარტია ღიად განაცხადებს ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერის შესახებ. მსურს მოვუწოდო საზოგადოებას, კარგად დაფიქრდნენ, გაიაზრონ მოსალოდნელი შედეგები, რეალური საფრთხეები და ამის მიხედვით გააკეთონ სწორი არჩევანი. არ მოხდეს ისე, რომ მივიღოთ ოპოზიციონერი პრეზიდენტი, რაც, ყველა შემთხვევაში, არასტაბილურობის გარანტი იქნება საქართველოში.

ოპოზიციისთვის საპრეზიდენტო მანდატის დათმობა მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანას ეყოლებოდა კონსტრუქციული ოპოზიცია, რაც დღეს არ გვყავს. დღეს ოპოზიციის უდიდესი ნაწილი სიძულვილის ენით საუბრობს, არ შეწევთ უნარი ფაქტებზე დაყრდნობილი არგუმენტირებული კამათის, ხალხზე მანიპულირებისთვის იგონებენ ცრუ ისტორიებს და შეურაცხყოფას აყენებენ პიროვნებებს. ასეთ შემთხვევაში, ყოვლად დაუშვებელია, ქვეყანას ჰყავდეს ოპოზიციონერი პრეზიდენტი, რომლის მიზანიც არა ქვეყნის, არამედ, საკუთარი პარტიის კეთილდღეობა იქნება.

სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, სწორად შეაფასონ მოსალოდნელი საფრთხეები და ხმა მისცენ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ დამოუკიდებელ საპრეზიდენტო კანდიდატს. ეს იქნება საუკეთესო არჩევანი ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

არ მოხდეს ისე, რომ მივიღოთ ოპოზიციონერი პრეზიდენტი, რაც არასტაბილურობის გარანტი იქნება საქართველოში.

## Telegram სპეცსამსახურებს ტერორისტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე დათანხმდა

Telegram თანახმაა, სპეცსამსახურებს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ტერორისტების შესახებ ინფორ-



მაცია გადასცეს.

– ჩვენ, როგორც Telegram-ის წარმომადგენლები არასდროს უარვყოფთ ხელისუფლების უფლებას და, კიდევაც ვალდებულებას, ებრძოლოს ტერორიზმს, პირიქით, ვთავაზობდით ასეთ ცივილიზებულ მიდგომას, სასამართლოს დასკვნა ინფორმაციის გახსნის სანაცვლოდ, – განაცხადა მესენჯერის იურისტმა. ახალი რეგულაციით, Telegram-მა სამსახურებს არა პირადი მიმოწერა, არამედ ტელეფონის ნომერი და IP მისამართი უნდა მიაწოდოს. „როსკომნადზორმა“ Telegram-ს ურჩია, საჯარო განცხადებების ნაცვლად მათ დაზვერვის ფედერალურ სამსახურთან ითანამშრომლონ.

## ოკუპანტებმა სოფელ ჭვრინისის მკვიდრი გაიტაცეს

საოკუპაციო ხაზთან რუსმა სამხედროებმა სოფელ ჭვრინისის მკვიდრი გიორგი ხარაზიშვილი გაიტაცეს. გატაცებული 62 წლისაა. ის, სავარაუდოდ, მაშინ დაიკავეს, როცა შეშისთვის ტყეში იყო წასული.

ინფორმაციას ადასტურებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. როგორც სუს-ში აცხადებენ, აღნიშნული პირი დაკავებულია ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით. მომხდართან დაკავშირებით ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ამოქმედებულია ცხელი ხაზი.

## უკრაინასა და საქართველოს შორის მგზავრობა, სავარაუდოდ, ID ბარათით გახდება შესაძლებელი

უკრაინასა და საქართველოს შორის მგზავრობა, სავარაუდოდ, სექტემბრიდან, ID ბარათებით გახდება შესაძლებელი. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული UNIAN ავრცელებს, ხოლო აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესს ნეტგაზეთს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უდასტურებს.

გამოცემის თანახმად, უკრაინულმა მხარემ უკვე დაამტკიცა და გადასცა ქართველ კოლეგებს ყველა საჭირო დოკუმენტაცია იმისთვის, რომ მგზავრობა ქვეყნებს შორის შესაძლებელი გახდეს ID ბარათებით. უნიანის ცნობით, აღნიშნული შეთანხმების ტექსტი სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ქვეყნების დელეგაციების მიერ დამტკიცდება.

UNIAN-ის ინფორმაციით, აღნიშნულს ადასტურებს უკრაინის ელჩი საქართველოში იგორ დოლგოვი.

## პრემიერი მაკკეინის დაკრძალვაზე არ მიდის



უცნობია, გაემგზავრება თუ არა თბილისიდან დელეგაცია სენატორის, საქართველოს ეროვნული გმირის, ჯონ მაკკეინის დაკრძალვაზე.

„პირველი რადიო“ ამ კითხვით პრემიერის პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ პრემიერი აშშ-ში არ მიემგზავრება, ხოლო სხვა უწყებების შესახებ მათ არ აქვთ ინფორმაცია. დაკავშირებას ვცდილობდით საქართველოს პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის ადმინისტრაციებთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, თუმცა არც ერთ უწყებაში სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს, შესაბამისად, უცნობია, მიდის თუ არა ვინმე ჯონ მაკკეინის დაკრძალვაზე.

## „ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების კონსტრუქციული განწყობა მისასალმებელია“

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ მწარმოებლების კონსტრუქციული განწყობა მისასალმებელია.

მან განაცხადა, რომ ცემენტის ადგილობრივ მწარმოებლებთან დიალოგი მუდმივ რეჟიმ-

ში მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც კლინკერის საბაჟოზე შემოწმების მიზნით ტვირთების საბაჟოზე შეჩერების პრობლემა შეიქმნა.

– ყველა შესაბამისი სტრუქტურა ჩართულია საკითხის შესწავლასა და მისი სამართლიანად გადაწყვეტის გზის შემუშავებაში. მე მესმის, რომ მწარმოებლებისთვის ყოველი დღე ძვირფასია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საკითხი ძირფესვიან შესწავლას მოითხოვს, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული დრო სჭირდება.

რაც შეეხება იმას, რომ ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლები სპეციალური განცხადებით გამოეხმაურნენ საკითხის გარშემო ატეხილ პოლიტიკურ პერიპეტიებს და გაემიჯნნენ ამ პროცესს, ამ ფაქტს ცალსახად დადებითად ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ეს მათი მხრიდან კონსტრუქციულობის გამოხატულებაა და მივესალმები.

ვფიქრობ, უახლოეს დღეებში უკვე შესაძლებელი გახდება ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების მიერ დასმულ საკითხებზე საქართველოს მთავრობის მხრიდან შეჯერებული პოზიციის ჩამოყალიბება და ბიზნესის ინტერესების დამცველი სამართლიანი გადაწყვეტილებების შემუშავება, – განაცხადა ლექვინაძემ.

BFM.GE

# აამოქმედებს თუ არა კრემლი მოლდოვურ სცენარს საქართველოში?

## რუსეთი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას აანონსებს

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მიმართ რუსეთს ერთნაირი პოლიტიკა აქვს შემუშავებული. ყოფილ საბჭოთა სივრცეში ევროკავშირთან სხვებზე მეტად დაახლოებული თბილისი, კიშინიოვი და კიევი კრემლისაგან ერთმანეთის მსგავს მუქარებს, გზავნილებსა და პროვოკაციებს იღებენ.**

ექსპერტები ხშირად საუბრობენ გეგმებზე ამ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციისა და მათი დაშლა-დანაწევრების თაობაზე.

მოლდოვაში ამჟამად მიმდინარე არეულობასაც რუსეთს უკავშირებენ. ქვეყნის პრემიერი პაველ ფილიპი ამაში კრემლს საჯაროდ ადანაშაულებს. მისი თქმით, რუსეთი არეულობის გამოსაწვევად განგებ ამწვავებს ურთიერთობას მოლდოვასთან. მოსკოვი არღვევს საბაჟო შეთანხმებას, ასევე მას არ გაჰყავს თავისი ჯარი დნესტრისპირეთიდან.

ადრე დაწყებულ პოლიტიკურ დაპირისპირებას დაემატა 27 აგვისტოს კიშინიოვის ცენტრში მომხდარი შეხლა-შემოხლა.

სიტუაცია გაამწვავა კიშინიოვის მერის არჩევნებმა. რიგგარეშე არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციური პარტია „ღირსება და სიმართლის“ ლიდერმა ანდრეი ნესტასემ. ხელისუფლებამ შედეგები გაასაჩივრა. ამის შედეგად ცესკომ ეს შედეგი გააბათილა.

ქუჩაში გამოსული მემარჯვენედ მიჩნეული ოპოზიცია მარტო არჩევნების შედეგის ცნობას კი არა, პრემიერ პაველ ფილიპის გადადგომას მოითხოვს და სხვა მოთხოვნებსაც აყენებს.

ამ ოპოზიციას უპირისპირდება მემარცხენედ წოდებული ოპოზიცია „შორი“, რომელიც ხელისუფლების მიერ მართულად ითვლება.

არ არის გამორიცხული, მოლდოვის მოვლენებში ჩაებას „ასწლეულის მარში“. ეს ალიანსი ერის გაერთიანებას, ანუ რუმინეთისა და მოლდოვის გაერთიანებას ცდილობს.

ექსპერტები ქვეყანაში ექსტრემისტული სცენარების განვითარებას ელიან.

ამ მოვლენებს უკვე მოჰყვა ცუდი შედეგი – ევროპარლამენტმა შეაჩერა მოლდოვისთვის განკუთვნილი თანხის გამოყოფა მაკროდაფინანსების დახმარების ფარგლებში.

პრეზიდენტი იგორ დოდონი, რომელიც კრემლის კაცად მიიჩნევა, მიმდინარე მოვლენებს უწოდებს „დემოკრატიის სირცხვილს“. იგი არ გამორიცხავს, რომ ქუჩაში გამეფებულმა ქაოსმა პარლამენტში გადაინაცვლოს. დოდონს იმედი აქვს, რომ არეულობა ხალხს ჭკუას ასწავლის და ის 2019 წლის თებერვლის არჩევნებში გონივრულ არჩევანს გააკეთებს.

დნესტრისპირეთზე უფრო გამომწვევია რუსეთის მოქმედებები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში.

პუტინის თანაშემწის, ვლადისლავ სურკოვის ინფორმაციით, მიღებულია გადაწყვეტილებები, რომლებიც გაზრდის ცხოვრების ხარისხს „სამხრეთ ოსეთში“.

იმავდროულად კრემლი მოუწოდებს თბილისს, გამართოს დიალოგი სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან.

რუსეთმა შესაძლოა კიშინიოვის სცენარი თბილისშიც გაათამაშოს. ამ ეტაპზე მოსკოვი რეგიონში თავისი სამხედრო პოზიციების გამაგრებითაა დაკავებული.

საუდის არაბეთის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალ სამხედრო ბაზას რუსეთი დაღესტანში აშენებს.

ეს გაცხადდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა კასპიის ზღვის კონვენციის მიღებით რეგიონში მთავარი მოთამაშის სტატუსი გაინაღდა. კასპიის ზღვა გახდა რუსული ავია და საზღვაო ბაზა. რუსეთს ეკუთვნის სიტყვა რეგიონის მარაგების ექსპლუატაციასა და გაყიდვაში.

ასტრახანის ბაზასთან ერთად დაღესტნის ბაზა უზრუნველყოფს სამხედრო ოპერაციების ჩატარებას ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, შავ ზღვასა და სამხრეთ კავკასიაში.

საუდელი ექსპერტების თქმით, რუსეთი თავის დანაშაულს ლამაზად ფუთავს და კანონიერად ასაღებს. 2008 წელს პუტინმა თეატრალური წარმოდგენა დადგა და ცდილობდა ეჩვენებინა, თითქოს საქართველო დაესხა თავს რუსეთს, რუსეთმა კი თავი დაიცვა. ყირიმის ბედი, პუტინის მტკიცებით, რეფერენდუმმა გადაწყვიტა.

პუტინი საბჭოთა კგბ-ს ვიცე-პოლკოვნიკია. არაბი ანალიტიკოსების თქმით, სამხედრო ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ პოლკოვნიკები მხოლოდ ტაქტიკურ გამარჯვებებს აღწევენ, სტრატეგიული გამარჯვებები კი გენერლების ხვედრია.

# პუტინისთვის ყველაზე ცუდი სიზმარი ის არის, რომ რუსებს საქართველოში უნდათ ცხოვრება

დედაქალაქის შემდეგ მშენებლობაში ბრუნვის მოცულობით ქვეყანაში აჭარა მეორე ადგილზეა და ამ მაჩვენებელმა შარშან 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა. აჭარაში წლეულს ჩასული დამსვენებელი შენიშნავდა, რომ ბათუმში სამშენებლო ბუმია. აშენებენ ყველგან: ქალაქის ცენტრში, გარეუბნებში, ხოლო ახალი ბულვარის გასწვრივ ტერიტორია, ფაქტობრივად, სრულად არის ათვისებული. ძირითადად, მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები შენდება. მოსახლეობის თქმით, უძრავ ქონებას ზღვისპირა ქალაქში ყიდულობენ როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მეტწილად რუსები, თურქები და ირანელები.

ბათუმში სამშენებლო ბუმს ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკაც. მაგალითად, შარშან 1.141 ობიექტის აშენების ნებართვა გაიცა ამ რეგიონში, მათ შორის, 72% საცხოვრებელი სახლების წილად მოდიოდა და მხოლოდ 9% სასტუმროების. მშენებლობის საერთო ფართობმა 1.835,7 ათასი კვმ შეადგინა. შედარებისთვის: 2016 წელს აჭარაში ნებართვების 54% საცხოვრებელი სახლების აშენებაზე გასცეს, სასტუმროებზე – 26%. ბოლო 7 წელიწადში სამშენებლო სექტორის წლიურ ბრუნვაში უცხოურ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა წილი გაოთხმაგდა(!) და 11%-დან 46,9%-ს მიაღწია.

2012-2016 წლებში უცხოელებმა საქართველოში 15.317 ბინა თუ სახლი და 5.709 არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძინეს. ყველაზე მეტი რუსეთის მოქალაქეების წილად მოდის. ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით, რომელიც საქართველოში დასაქმებული უცხოელების რაოდენობასა და საქმიანობას შეისწავლიდა, აღმოჩნდა, რომ უცხოელების უმეტესობა (1.088) საქართველოში სწორედ სამოქალაქო მშენებლობებზე მუშაობს. კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი – 2017 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებით, ეკონომიკის სექტორებს შორის უძრავი ქონება და მშენებლობა ლიდერთა შორისაა. მშენებლობაში შარშან 284 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ხოლო უძრავ ქონებაში – 178 მილიონზე მეტი.

### ჩვენთვის არაფერი იცვლება, უცხოელები კი ხეირობენ

იმას, რასაც სტატისტიკა ვერ გვეტყვის, ბათუმელი ტაქსის მძღოლი გვიყვება და დანიშნულების ადგილამდე იმ გზით მივყავართ, სადაც მშენებლობა, სეზონის მიუხედავად, შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ირაკლი გოგიტიძე, ბათუმის მკვიდრი: ყოველდღიურად რამდენიმე ათეული მგზავრი გადამყავს, ყველა გაოცებულია ბათუმში მშენებლობის მასშტაბით. ყველაზე მეტი მშენებლობა პირველ სანაპირო ზოლშია, ახალი ბულვარის გასწვრივ თითქმის მთელი ტერიტორია ათვისებულია. აშენებენ როგორც ადგილობრივი კომპანიები, ისე უცხოელი ინვესტორები. სხვათა შორის, უცხოელებს თავიანთი მუშახელი ჩამოჰყავთ. თუმცა არც აქაურებს გვაქვს სასაყვედურო, მშენებლობებზე ბევრი სამუშაო ადგილი გამოჩნდა.

ბოლო დროს სულ უფრო მეტი უცხოელი მხვდება, ვისაც ბათუმში საკუთარი ბინა ან ნომერი აქვს სასტუმროს ტიპის შენობაში. ირანელები უფრო ჩაკეტილი ხალხია, სიტყვას ვერ დააცდენინებ. არადა, საუკეთესო ადგილები აქვთ ნაყიდი, როგორც საცხოვრებელი, ასევე კომერციული ფართობები. სამსახურშიც თავისიანები აჰყავთ. არც თურქებთან მიყვარს დიდად საუბარი, რადგან სიმართლეს მაინც არ გეტყვიან. რუსულენოვან ტურისტებთან უფრო გამომდის კომუნიკაცია და გადარეული არიან კლიმატით, გარემოთი, ხალხით. ბევრს უკვე საკუთარი ბინა აქვს საქართველოს შავიზღვისპირეთში, ზოგიც ახლა იშენებს.

მოსწონთ უძრავი ქონების ფასები, 85.000 ლარად, რაც 32-33 ათასი დოლარია, ბათუმში პატარა ბინის ყიდვა შეუძლიათ. ზოგი ზაფხულობით ჩამოდის, ზოგიც საცხოვრებლად გადმოდის და ბიზნესს იწყებს, უმეტესად სარესტორნო ქსელში ან ვაჭრობაში. რუსები, ირანელები და თურქები იჩენენ ყველაზე დიდ ინტერესს აჭარის რეგიონში. სხვათა შორის, ბათუმსა და გონიოს შორის არსებული ძველი სამხედრო პოლიგონის ტერიტორია ცოტა ხნის წინ სახელმწიფოსგან ვიღაც არაბმა შეიხმა იყიდა. ამბობენ, რომ დაახლოებით 300 ჰექტარზე ტურისტული მინიქალაქის გაშენება იგეგმება.

ბევრი ჩემი მეგობარი გემზე მეზღვაურად მუშაობს, უამრავი საპორტო თუ ზღვისპირა ქალაქი აქვთ ნანახი, უთქვამთ კიდეც, რომ ბათუმი გამორჩეულია. ალბათ ესეც არის, რაც აქ ხანგრძლივად დარჩენის სურვილს უჩენთ.

თუმცა, ჩვენისთანა ადამიანებისთვის ამით თითქმის არაფერი იცვლება. ისევე ვებრძვით სიღარიბეს. მგზავრების რაოდენობაც რომ გაიზარდოს, ჩემი შემოსავალი არ იზრდება, რადგან ტაქსოკომპანია ფიქსირებულ თანხას მიხდის, რაც არათუ ახალი ბინის შეძენას, ძველის გარემონტებასაც ვერ გასწვდება. გამოდის, რომ ჩვენს მიწა-წყალზე ისევ უცხოელები ხეირობენ. მისაბაძი გახდა ჩვენი მაგალითი და ბევრმა უცხოელმა დაიმკვიდრა აქ თავი.

### ანა მატვეევა, ბელარუსი მიგრანტი საქართველოში:

– 3 წლის წინ ჩამოვედი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად. მანამდე ბევრჯერ ვიყავი ნამყოფი აჭარაში, როგორც ტურისტი. მე და ჩემმა მეუღლემ ცოტა ფული მოვაგროვეთ და თქვენს ქვეყანაში მცირე ბიზნესი წამოვიწყეთ – საოჯახო რესტორანი გავხსენით ბათუმში. საქმე კარგად წავიდა და არა მხოლოდ ტურისტულ სეზონზე, სტუმრის ნაკლებობას არც წლის სხვა დროს ვუჩივით. თქვენი ქვეყანა სასურველია არა მხოლოდ საცხოვრებლად, არამედ ბიზნესის დასაწყებადაც. მანამდე არაერთხელ მოვსინჯეთ თავის დამკვიდრება ხან ჩვენს სამშობლოში, ხანაც მეზობელ რუსეთსა თუ უკრაინაში და კორუფციასთან ერთად, დიდ ბიუროკრატიულ ბარიერებს წავაწყდით. ჩვენი მაგალითი მისაბაძი გახდა ჩვენი მეგობრებისთვისაც და რამდენიმე მათგანი ჩამოვიდა საქართველოში, ზოგმა ბათუმში სამრეცხაო გახსნა, ზოგმა ჰოსტელებს დასუფთავების სერვისი შესთავაზა და მათაც დაიმკვიდრეს აქ თავი. შარშან მშენებარე კორპუსში შევიტანეთ თანხა და რამდენიმე თვეში ჩვენი ბინაც გვექნება. ვფიქრობ, უახლოეს წლებში უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება აჭარაში როგორც უძრავი ქონების შეძენით, ისე ბიზნესის დაწყებით.

### სწორედ ეს არის აფხაზეთთან დაახლოების გზა

ირაკლი როსტომაშვილი, საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი:

– რაც უნდა საოცარი იყოს, მე სწორედ ამაში ვხედავ აფხაზეთთან დაახლოების გზას, რადგან კარგად ვიცი ის მოსაზრებები, რომლებიც აქვს აფხაზეთის მოსახლეობას. ხედავენ, რა ტემპით ვითარდება ბათუმი. არადა, აჭარის სანაპირო ზოლს ვერც კი შევადარებთ აფხაზეთს და ბათუმის მაგალითზე აფხაზები ხედავენ, რას კარგავენ...

მყავს რუსი მეგობრები და ხშირად მითქვამს ირონიულად, ხომ გაათავისუფლეთ აფხაზეთი, რატომ არ ჩადიხართ-მეთქი. სიმწრით იცინიან, ხვდებიან, რა და როგორ არის...

როცა იზრდება უძრავი ქონების გაყიდვის მაჩვენებელი, ეს ქვეყნისთვის კარგია. არავინ ყიდულობს უძრავ ქონებას იქ, სადაც საომარი მოქმედებებია ან მათი განვითარების ალბათობა არსებობს. ამ სტატისტიკის მიხედვით გამოდის, რომ რუსებიც, უკრაინელებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიცა და თურქებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში უძრავ ქონებაში კაპიტალდაბანდება მომგებიანია. ასეა ევროპის ქვეყნებშიც, სხვადასხვა ქვეყნიდან მიგრანტები აწყდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ქვეყნები უკეთესია საცხოვრებლად, ვიდრე მათი ქვეყანა. როცა ვამბობთ, პაკისტანელები ნუ ჩამოვლენ საქართველოშიო, არ ჩამოვლენ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოც პაკისტანის მსგავსი სახელმწიფო იქნება. რატომ გარბიან ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან ესპანეთსა და პორტუგალიაში? იმიტომ, რომ იქ უკეთესია!

რაც უფრო წინ წავა საქართველო და დაუახლოვდება ევროპულ ოჯახს, მიგრაციული პროცესები ქვეყანაში სულ უფრო ინტენსიური გახდება. მაგრამ ამის მართვა არ არის მენაშენეთა გადასაწყვეტი საკითხი. ეს უკვე პოლიტიკოსების კომპეტენციაა, როგორ მიგრაციულ პოლიტიკას გაატარებენ ქვეყანაში, რამდენად მარტივად მიანიჭებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობას ან მისცემენ ბინადრობის უფლებას... მე თუ მკითხავთ, ყველაზე ცუდი სიზმარი პუტინისთვის სწორედ ის არის, რომ რუსები მოდიან საქართველოში და ბინას ყიდულობენ, აქ უნდათ ცხოვრება, მიაჩნიათ, რომ აქ უფრო კარგია, ვიდრე მათ ქვეყანაში. ასე თვლიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლის სამშობლოც სავსებით ობიექტურად საქართველოში მტრად არის აღქმული. წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოხდეს, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდება. ალბათ, ვერაფერი შეაჩერებს მიგრაციულ ნაკადს რუსეთიდან, ამიტომ ამაზე ხელისუფლებამ უნდა იფიქროს, რომ ერთი მიმართულების განვითარებით ქვეყნის სხვა ინტერესები არ დავაზიანოთ...

ამერიკაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე 100 მილიონი მიგრანტი ჩავიდა და ათჯერ ამდენი ჩავიდოდა, რომ არა ის რეგულაციები, რომლებითაც ამერიკა ქვეყანაში მოხვედრის მსურველებს უმკლავდება. ამიტომ ის კი არ უნდა ვიძახოთ, რომ ირანელები საქართველოში სიმრავლით ქართველობას გვართმევენ, რაც სასაცილოც კი აღარ არის, არამედ გონიერი მიგრაციული პოლიტიკით უნდა დავარეგულიროთ მიგრაციული პროცესები ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

ბპნ

# „საბანკო სექტორის მოგებიანობის შემცირება სისტემურ რისკებთან დაკავშირებული არ არის“

მიმდინარე 7 თვეში კომერციული ბანკების შემცირებული მოგების მიზეზებზე „ბანკები და ფინანსები“ გთავაზობთ ინტერვიუს წამყვან საბანკო და საფინანსო ექსპერტთან, პროფესორ გიორგი ცუცქირიძესთან.

***– ბანკების მოგება, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბანკების მოგება შემცირებულია ყოველთვიური მაჩვენებლების მიხედვითაც, ხოლო ივნისში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო, რაც გასული წლის ივნისთან შედარებით თითქმის ორჯერ არის შემცირებული. რამ განაპირობა ბანკების მომგებიანობის ასეთი შემცირება?***

– გეთანხმებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგების ყველაზე დაბალი თვიური მაჩვენებელი მიმდინარე წლის ივნისში დაფიქსირდა – 47,9 მლნ ლარი, რაც იანვარ-ივლისის თვის მიხედვით ყველაზე დაბალი თვიური წმინდა მოგების მაჩვენებელია და გაცილებით ნაკლებია როგორც თებერვლის თვის მოგების მაჩვენებელზე – 90 მლნ ლარი, ასევე საშუალო თვიურ წმინდა მოგებაზე – 66,3 მლნ ლარი. მიუხედავად წმინდა მოგების შემცირებისა, მოგება გადასახადის გადახდამდე და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებამდე, მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ყველაზე მაღალი იყო – 109 მლნ ლარი და მნიშვნელოვნად აღემატება როგორც საშუალო თვიურ მომგებიანობას – 85 მლნ ლარი, ისე თუნდაც თებერვლის მაჩვენებელს – 101 მლნ ლარი, როდესაც წმინდა მოგება ყველაზე მაღალი 90 მლნ ლარი იყო.

უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ, წმინდა მოგების, როგორც ბანკების საბალანსო მოგების საბოლოო შედეგის მაჩვენებელზე ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, წმინდა საპროცენტო მოგება დარეზერვებამდე, რომელიც იანგარიშება წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის მიხედვით და წარმოადგენს სისტემის მომგებიანობის მთავარ ინდიკატორს, მეორე მხრივ, წმინდა მოგების კალკულაციისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით, რომელიც აკლდება წმინდა მოგებას დარეზერვებამდე და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალ/ხარჯების მუხლები, რომლებიც ასევე აკლდება ან ემატება მოგებას გადასახადის გადახდის შემდეგ, რომლებსაც მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანა შეუძლიათ მოგების საბოლოო მაჩვენებელში.

ივნისის თვის წმინდა მოგების შემცირება გამოიწვია სწორედ გაუთვალისწინებელი ხარჯების ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ბანკების არაძირითადი საქმიანობიდან მიღებულ ხარჯს, აგრეთვე გასული წლების საქმიანობიდან წარმოქმნილ ხარჯებს, დაფიქსირებულმა მაღალმა უარყოფითმა მაჩვენებელმა, რომელმაც – 48,8 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ივლისის თვის მონაცემებს, წმინდა მოგება ივნისის თვესთან შედარებით გაზრდილია 47,9 მლნ

ლარიდან 54 მლნ ლარამდე, ივლისში ასევე გაზრდილია საპროცენტო შემოსავლები ივნისთან შედარებით 274,7 მლნ ლარიდან 277,2 მლნ ლარამდე, მათ შორის სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები გაზრდილია 240,8 მლნ ლარიდან 243,6 მლნ ლარამდე. ნიშანდობლივია, რომ ფიზიკური პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლები ივლისში გაზრდილია 157,3 მლნ ლარიდან 161 მლნ ლარამდე, მაშინ როდესაც ივნისში დაფიქსირდა კლება მაისთან შედარებით -161,5 მლნ ლარიდან 157,3 მლნ ლარამდე, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. ახალი საბანკო რეგულაციების ნაწილი სწორედ მაისიდან შევიდა ძალაში, და ბუნებრივია გარკვეული შენელება პირველ ეტაპზე, მოსალოდნელიც იყო, თუმცა რაიმე სერიოზული ზეგავლენა მაინც არ მოუხდენია.

ივლისში წმინდა მოგების მაჩვენებელზე სხვა ხარჯებმა იმოქმედა ნეგატიურად. კერძოდ, ივლისში მოგების მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ზარალმა აქტივების, მათ შორის სესხების დანაკარგების მიხედვით, რომელმაც -48 მლნ ლარი შეადგინა და მნიშვნელოვნად შეამცირა დარეზერვებამდე წმინდა მოგების მაჩვენებელი, რაც, საბოლოო ჯამში, აისახა კიდეც წმინდა მოგების მაჩვენებელზე, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ივლისში წმინდა მოგება გაზრდილია ივნისთან შედარებით 6 მლნ ლარით.

ფინანსური კუთხით, საბალანსო მოგებაზე როგორც გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლებიც შეიძლება გასული პერიოდის შედეგიც იყოს, თუ ის არ არის რაიმე არაორდინარული, მაგალითად, რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ან სტიქიური უბედურების შედეგად წარმოქმნილი, ასევე ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგებზე ითვლება ნეგატიურ ფაქტორად. პირველი ასახავს დაუგეგმავ ანუ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, ხოლო მეორე აქტივების ხარისხის გაუარესებაზე მიუთითებს.

მაგრამ, ამავდროულად სისტემური მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით, მისი გამომწვევი მიზეზები, მიზანშეწონილია, განვლილი პერიოდების დინამიკაში იყოს განხილული და არა კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე. მაგალითისათვის გაუთვალისწინებელი ხარჯები გასულ წელსაც მაღალი იყო აგვისტოში 43 მლნ ლარი, მაგრამ შემდეგ თვეებში მნიშვნელოვნად შემცირდა და 10 მლნ ლარზე მაღალი არ ყოფილა. თუ ბოლო წლების სტატისტიკას შევაფასებთ, ეს ორივე ფაქტორი დიდწილად გამოწვეულია ბანკების გაერთიანების ან სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, რაც ადმინისტრაციული თუ სხვა ხარჯების ზრდით მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, რომ 2015-2017 წლებში საბანკო სექტორში რამდენიმე მსხვილი ტრეიდი განხორციელდა. თი ბისი ბანკის მიერ „ბანკი რესპუბლიკას“ შეძენა უნდა აღინიშნოს, გარდა ამ ოპერაციისა ბანკმა კიდევ ერთი ბანკის „კონსტანტა ბანკის“ აქცივიზაცია განახორციელა და „პროგრეს ბანკის“ საკრედიტო პორტფელი შეიძინა. „საქართველოს ბანკმა“ აღნიშნულ პერიოდში „პრივატ ბანკი“ მიიერთა, ხოლო „პროკრედიტ ბანკისაგან“ მიკრო და მცირე სესხების პორტფელი შეიძინა. გარდა ამისა, „საქართველოს ბანკმა“ მნიშვნელოვანი შიდა სტრუქტურული ცვლილება განახორციელა, მიმდინარე წლის მაისის ბოლოს საქართველოს ბანკი და საინვესტიციო ჯგუფი -BGEO 2 დამოუკიდებელ კომპანიად გაიყო. ნებისმიერი ამ სახის სტრუქტურული რეორგანიზაცია, მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, მათ შორის სესხების ნაწილის ჩამოწერასთან.

– მართალია, ივლისში, წინა თვესთან შედარებით, წმიდა მოგება გაიზარდა, მაგრამ ივლისის წმინდა მოგების მაჩვენებელიც საშუალო თვიურ მაჩვენებელს ჩამორჩება – 54 მლნ ლარი, ხოლო პირველი შვიდი თვის მიხედვით, გასულ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სულაც 55 მლნ ლარით ნაკლებია. – თუ საბანკო სისტემის მომგებიანობას წლის დასაწყისიდან ავითვლით და გასული წლის ანალოგიურ პერიოდს შევადარებთ ვნახავთ, რომ იანვარ-ივლისის მიხედვით წმინდა მოგებამ 464.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით – 519 მლნ ლარი, შემცირებულია 10%-ით.

მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში, საბანკო სექტორის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 1,035,011 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (853,274 ლარი) 21%-ით მეტია, მართალია, საპროცენტო ხარჯი გაიზარდა 690,895-დან 821,222-მდე ანუ 18.8%-ით, მაგრამ, ამავდროულად, საპროცენტო შემოსავლები გაიზარდა 1,544,170-დან 1,856,233-მდე, ანუ 20.2%-ით.

მიმდინარე წლის ამავე პერიოდში წმინდა არასაპროცენტო შემოსავალმა 365,272 ლარი შეადგინა და გასული წლის პირველი შვიდი თვის მაჩვენებელზე 245,296 მთელი 120 მლნ ლარით მეტია, ოღონდ მინუს ნიშნით ანუ არასაპროცენტო ხარჯების ზრდის ტენდენციას აჩვენებს არასაპროცენტო შემოსავლებთან შედარებით. მართალია, არასაპროცენტო შემოსავლები გაზრდილია 445 მლნ ლარიდან 455 მლნ ლარამდე, მათ შორის საკომისიო შემოსავლები 200 მლნ ლარიდან 208 მლნ ლარამდე, თუმცა შემცირებულია საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები – 125 მლნ ლარიდან 122 მლნ ლარამდე, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაზრდილია არასაპროცენტო ხარჯები 621 მლნ ლარიდან 668 მლნ ლარამდე. აპარატის შენახვის ხარჯები გაზრდილია 354 მლნ ლარიდან 382 მლნ ლარამდე, ხოლო სხვა არასაპროცენტო ხარჯები, სადაც შედის რეკლამისა და ბანკის განვითარების ხარჯებიც – 189 მლნ ლარიდან 205 მლნ ლარამდე. ზოგადად ეს არ არის ცალსახად ნეგატიური ტრენდი, პირიქით პოზიტიური უფროა, როდესაც ბანკების მოგების ზრდა აისახება დასაქმების სტიმულირებასა და განვითარებაში.

შემოსავლების არასაპროცენტო ნაწილის შეფასებისათვის გამოიყენება საინტერესო ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს არასაპროცენტო შემოსავლების თანაფარდობას მთლიან შემოსავლებთან. საქართველოს საბანკო სისტემაში ეს ინდიკატორი 27.7%-ით არის შეფასებული და ამ მაჩვენებლით გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ევროპაში. შედარებისათვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ბალტიის სახელმწიფოებში არასაპროცენტო შემოსავლების თანაფარდობა მთლიან შემოსავლებში 40-45%-ის ფარგლებშია, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალია. შვეიცარიაში 65%-ია, ლუქსემბურგში – 51%, ავსტრიაში – -44%, რაც ასევე ნიშნავს, რომ საქართველოში ბანკების შემოსავლების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, 2/3 საპროცენტო შემოსავლების გზით მიიღება და სწორედ ეს ფაქტორი მიგვაჩნია ერთ-ერთ მორიგ გამოწვევად საბანკო სექტორისათვის. არსებული დისპროპორცია საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლებს შორის მიუთითებს მოგებაში მაღალი სპრედის ფაქტორზეც.

აქედან გამომდინარე, ბევრი რამე იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს საბანკო სექტორი ფინტეჩ ტექნოლოგიურ პლატფორმაზე გადასვლას. დღეს რეალურად მთავარ პრობლემად ტრადიციული ფინანსური ინდუსტრიისათვის შეიძლება იქცეს კლიენტების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნა მომსახურების უნივერსალურ სერვისებზე. მათ სულ უფრო სჭირდებათ ისეთი სერვისები, რომლებიც დისტანციური და უკონტაქტო მომსახურების პლატფორმაზე იქნება აგებული, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მიიღონ ინფორმაცია ერთი ფანჯრის პრინციპით, სმარტფონის მეშვეობით ნებისმიერ ადგილზე.

ეს ტენდენცია ბუნებრივია, ბანკებს აიძულებს, აქცენტები მთლიანად კლიენტების მომსახურების მხარეს გააკეთონ, სხვა შემთხვევაში, მათ გაუჭირდებათ არსებული მრავალფილიალიანი ქსელებით გაყიდვების წარმოება. შესაბამისად, ქართულ ბანკებსაც მოუწევთ, არსებული საპროცენტო შემოსავლების მოდელიდან გადაერთონ საკონსულტაციო მომსახურების ციფრულ პლატფორმაზე.

ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში წმინდა მოგება დარეზერვებამდე 789,7 მლნ ლარია და 182 მლნ ლარით, ანუ მთელი 30%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდში მიღებულ დარეზერვებამდე წმინდა მოგების ანალოგიურ მაჩვენებელზე – 607,9 მლნ ლარი, რაც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდის პოზიტიურ დინამიკაზე მიუთითებს წმინდა არასაპროცენტო შემოსავალთან შედარებით და რამაც გადაფარა წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის, როგორც თავისებური ფინანსური ტვირთის უარყოფითი ეფექტი. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ახალი საბანკო რეგულაციების გავლენა საპროცენტო შემოსავალზე მიზერულია.

– ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა, მაშინ რამ გამოიწვია ამ პერიოდში წმინდა მოგების შემცირება?

– ეს კითხვაც ლოგიკურია და ასახავს ფინანსური ანგარიშგების თავისებურებებს. როგორც აღვნიშნეთ, მოგების საბოლოო შედეგის, ანუ წმინდა მოგების კალკულაციისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლები, რომლებიც ასევე აკლდება მოგებას გადასახადის გადახდის შემდეგ.

მართალია, გასული წლის დასაწყისთან შედარებით პირველ 7 თვეში წმინდა მოგება შემცირებულია 10%-ით, მაგრამ მისი შემცირების ძირითადი მიზეზი არის არა იმდენად დაკრედიტების ტემპების შენელება და ვადაგადაცილებული სესხების ზრდა, არამედ მეორე ფაქტორი, რაც აქტივების შესაძლო დანაკარგების ზრდასთან არის დაკავშირებული, და ბოლო წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად გამოწვეულია კონკრეტულ პერიოდებში, რამდენიმე შედარებით მსხვილი სესხის ჩამოწერის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგებზე გაზრდილია 89,5 მლნ ლარიდან 231,3 მლნ ლარამდე, მათ შორის სესხებზე 60 მლნ ლარიდან 218,6 მლნ ლარამდე.

სწორედ ამის შედეგია, რომ მიუხედავად დარეზერვებამდე წმინდა მოგების 30%-იანი ზრდისა, მანაც ვერ გადაფარა აქტივებზე შესაძლო დანაკარგების ზარალი. თუმცა, სისტემური თვალსაზრისით, არც ეს გარემოებაა გაზრდილი რისკების მანიშნებელი. აქტივებზე შესაძლო დანაკარგები 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში, მიმდინარე წლის მაჩვენებელთან შედარებითაც კი მეტი იყო და 243 მლნ ლარს შეადგენდა. შედეგად, 2016 წლის პირველ ნახევარში აქტივების შესაძლო დანაკარგებზე ზარალის მნიშვნელოვანი შემცირებაც 89,5 მლნ ლარამდე, დიდწილად სწორედ 2015 წელს ბანკების ნაწილის გაერთიანების შედეგად, რამდენიმე მსხვილი სესხის ჩამოწერის და შესაბამისად ამ პერიოდში აქტივებზე დანაკარგების ზრდის ზეგავლენის შედეგი იყო და არა სხვა წმიდა სისტემური გარემოებებიდან გამომდინარე.

BFM.GE

## სატრანსპორტო საშუალებით გარევაჭრობა 1.000 ლარით დაჯარიმდება

თბილისის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარევაჭრობის შემთხვევაში ჯარიმა 50 ლარამდე გაიზარდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აქამდე მოქმედი ნორმის მიხედვით, ჯარიმის მოცულობა 20 ლარს შეადგენდა. ამასთან, მოხდება სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციაც. ახალი ცვლილება გუშინ ამოქმედდა.

კოდექსის მიხედვით, 4-ჯერ იზრდება შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. თუ აქამდე დამრღვევ პირზე ჯარიმა შეადგენდა 50 ლარს, ის უკვე 200 ლარამდე გაიზარდა. კოდექსი ასევე ითვალისწინებს კონფისკაციას ან 7-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გარევაჭრობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ჩანაწერი ჩნდება. კერძოდ, თბილისში შესაბამისი ნებართვის გარეშე სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის (შესაბამისი საქონლის) კონფისკაციით. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი სამართალდამრღვევი პირის მიმართ ჯარიმის ოდენობა 2.000 ლარამდე იზრდება.

ბპნ

## დედაქალაქში ეზოებისა და სკვერების დაზიანების შემთხვევაში ჯარიმები იზრდება

თბილისში ინფრასტრუქტურის დაზიანებაზე ჯარიმები იზრდება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, დედაქალაქში მდებარე ეზოების, სკვერების, ქუჩების, მოედნების თვითნებური გადათხრის ან დაზიანების, სამშენებლო მასალებით ჩახერგვის, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების გარეშე მიტოვების ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილი პირობების დარღვევისა და შეუსრულებლობისთვის 28 აგვისტოდან ფიზიკური პირი – 500 ლარის ნაცვლად 1.000-ით, ხოლო იურიდიული 2.000-ის ნაცვლად 3.000 ლარით დაჯარიმდება.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში იმავე ქმედების განხორციელების შემთხვევაში ფიზიკური პირი 2.000, ხოლო იურიდიული პირი 6.000 ლარით დაჯარიმდება.

დაკისრებული ჯარიმის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში კი სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბპნ

# 6 წლის ბავშვს ასპინძის ეკლესიასთან მანქანა დაეჯახა

## მძღოლმა ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანა

გუშინ, 28 აგვისტოს, ასპინძაში, ხვილიშის ეკლესიასთან, ექვსი წლის ბიჭს „პაჯერო იოს“ მარკის მანქანა დაეჯახა. დაშავებული მოზარდი ასპინძის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევა ასპინძაში დაახლოებით 12:30 საათზე მოხდა.

ბიჭი მშობლებს ეკლესიაში მოსანათლად ჰყავდათ მიყვანილი, წირვის დამთავრებას ელოდებოდნენ. ბავშვმა ამ დროს გზაზე გადაირბინა და მანქანა დაეჯახა, მძღოლი შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა, მაშინვე გააჩერა მანქანა და ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანა.

დაშავებული ასპინძის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც კლინიკაში ამბობენ ექვსი წლის ბიჭის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მას ტვინის შერყევა აქვს.

– ჩვენ ქირურგიული სტაციონარი არ გვაქვს, ველოდებით კატასტროფის ბრიგადას და ბავშვს თბილისში გადაიყვანენ. მოტეხილობა არ ჩანს, მაგრამ საჭიროა კომპიუტერული კვლევა, – ამბობს კლინიკის მენეჯერი მანანა ცინაძე.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს.

**სამხრეთის კარიბჭე**

# „პირზე ხელი ააფარა და მიტოვებულ შენობაში შეიყვანა“

## გორში არასრულწლოვანი გაძარცვეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში არასრულწლოვანი გაძარცვეს.

შემთხვევა 27 აგვისტოს, გვიან ღამით მოხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივები უყვებიან, დაუდგენელმა პირმა მოზარდი, რომელიც მარტო სეირნობდა, მიტოვებულ შენობაში შეათრია და კუთვნილი მობილური ტელეფონი წაართვა. ბოროტმოქმედს ამ დრომდე ეძებენ.

– მარტო მიდიოდა ბავშვებთან სასეირნოდ, როგორც გავიგეთ, პირზე აუფარებია ხელი და მიტოვებულ შენობაში შეუყვანია, რამდენიმე წუთის შემდეგ წიოკის ხმა გავიგეთ, მოზარდი შველას ითხოვდა, პოლიცია მოვიდა და, როგორც ვიცით, ახლაც ეძებენ იმ პიროვნებას, – აცხადებს ქვახვრელის მკვიდრი.

დაზარალებული ბიჭი სამართალდამცავებმა უკვე გამოკითხეს.

ფაქტს ადასტურებენ შს სამინისტროშიც. უწყების ინფორმაციით, ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

# პროკურორი გივი შენგელია, რომელმაც გიორგი მეტრეველი ცემა, მიხეილ ჯანელიძის მამიდაშვილია

26 აგვისტოს შეიარაღებული გარჩევა მოხდა პროკურატურის მაღალჩინოსანსა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ასეულის მეთაურს შორის.

შეიარაღებული თავდასხმა წყალტუბოში, შანიძის ქუჩაზე, გვიან ღამით, თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ასეულის მეთაურის გიორგი მეტრეველის სახლთან მოხდა. სამხედრო მაღალჩინოსანს ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი ორჯერ ესროლეს.

დაზვერვის ასეულის მეთაურს, ღამით სახლში დასავლეთ საქართველოს პროკურატურის განყოფილების უფროსი გივი შენგელია მიუვარდა, რომელმაც მას ჯერ სცემა და შემდეგ ესროლა.

ინციდენტს მეტრეველის მეუღლე ესწრებოდა. დაზარალებული გიორგი მეტრეველი ამ დროისათვის მკურნალობას სახლის პირობებში აგრძელებს. ინციდენტის შედეგად მას თავის არეში ნახეთქი ჭრილობები, სახეზე კი მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნებოდა. პროკურორის თავდასხმის გამო, მეტრეველს მარჯვენა ხელის ცერა თითიც მოტეხილი აქვს.

პროკურორის მიერ ჩადენილ დანაშაულს პროკურატურის გენერალური ინსპექცია იძიებს. საქმეში ფიგურირებს „ბერეტას“ ტიპის იარაღი. პროკურატურაში ფაქტს ადასტურებენ, თავდაცვის სამინისტროში კი მომხდარს უარყოფენ. მომხდარიდან 3 დღის შემდეგ პროკურორი გივი შენგელია დაკავებული არ არის.

გივი შენგელია საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მიხეილ ჯანელიძის ახლო ნათესავია.

შენგელიას ოჯახი დეტალებზე არ საუბრობს და გამოძიებას სრულ ნდობას უცხადებს.

– ბატონი გივი მთავარმა საგამოძიებო უწყებამ უკვე დაკითხა, საქმეს იძიებს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია. მე ვფლობ იმ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებს მთავარი პროკურატურა. შესაბამისად, სრულ ნდობას ვუცხადებ გამოძიებას და ველოდები გამოძიების შედეგს.

მიხეილ ჯანელიძე იყო საგარეო უწყების ხელმძღვანელი და, შესაბამისად, მისგან არანაირი მფარველობა არ ყოფილა, – განაცხადა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შენგელიამ, რომელიც გივი შენგელიას ძმაა.

გივი შენგელიას მეუღლე ადასტურებს, რომ გივი შენგელია მიხეილ ჯანელიძის მამიდაშვილია, თუმცა ნათია ბაკურაძე ამბობს, რომ ჯანელიძე მის მეუღლეს არასოდეს დახმარებია.

– მიხეილ ჯანელიძეს რომ ემფარველა, ის იყო მისი მკვიდრი მამიდაშვილი, ჩემი ქმარი იქნებოდა ან ქალაქის პროკურორი, ან ოლქის პროკურორი, ძალიან მაღალ თანამდებობაზე. ყველაფერს თავისით მიაღწია და არ იყო ისეთ მაღალ თანამდებობაზე, როგორც შეეფერებოდა მინისტრის ნათესავს, – ამბობს ნათია ბაკურაძე.

კურიერის კიდევ ერთ ინფორმაციას, რომ შენგელიამ აღნიშნულ ინციდენტამდე კიდევ ერთი პირი დაჭრა, ოჯახი არ ადასტურებს.

# გია ფეიქრიშვილის მკვლელობისთვის ცოტნე გოგობერიშვილი დააკავეს

20-დღიანი სამძებრო ღონისძიებების შემდეგ სამართალდამცავებმა 41 წლის გია ფეიქრიშვილის მკვლელობისა და მისი მეგობრის დაჭრის ფაქტზე 29 წლის ცოტნე გოგობერიშვილი დააკავეს.

ვარკეთილში მკვლელობა 8 აგვისტოს მოხდა. მკვლელობისა და დაჭრის შემდეგ ბრალდებულმა მოკლული მამაკაცის ცოლი გაიტაცა და გაიქცა, შემდეგ კი ქალი დიდუბის მეტროსთან ჩამოაგდო.

გიორგი ფეიქრიშვილი ცოლის თვალწინ მოკლეს. სისხლიან გარჩევას წინ კონფლიქტი უძღოდა, რომელსაც მეზობელი შეესწრო, რომელიც შემთხვევისას მხარის არეში დაიჭრა.

კონფლიქტის მიზეზად ეჭვიანობა სახელდება.

გუშინვე შსს-მ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვარკეთილის დასახლებაში მომხდარი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ძებნილი, 1989 წელს დაბადებული ც.გ. გარდაბანში დააკავა. დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, ღამით, შურისძიების ნიადაგზე, 1977 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს, მისსავე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, მკვლელობის დროს სადარბაზოში შემთხვევით შესული 1970 წელს დაბადებული ლ.ქ. კი დაჭრა. ამის შემდეგ, ც.გ.-მ გ.ფ.-ს მეუღლე – 1985 წელს დაბადებული თ.ბ. გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მასთან ერთად მიიმალა.

მიყენებული ჭრილობის შედეგად, გ.ფ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ლ.ქ. დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი სამკურნალო დაწესებულებაში. მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

სამართალდამცველებმა გატაცებული ქალი მომხდარიდან რამდენიმე საათში, თბილისში, მნათობის ქუჩის ტერიტორიაზე იპოვეს. თ.ბ.-ს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა, რის გამოც იგი გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, მისი შენახვა-ტარებისა და სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, 19-109 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ავთანდილ ხურციძე და კანონიერი ქურდი რაჟდენ შულაია ამერიკის ციხეში დაჭრეს

აშშ-ში, ბრუკლინის ციხეში მომხდარი ინციდენტის შედეგად მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი კრივში ავთანდილ ხურციძე და კანონიერი ქურდი რაჟდენ შულაია დაჭრეს.

სამი კვირის წინ ბრუკლინის ციხეში მომხდარი ინციდენტის შესახებ გამოცემა ქრაიმ რაშას მანჰეტენის ფედერალურ სასამართლოში შულაიას თარჯიმანმა განუცხადა. ინციდენტის მიზეზები ამ დრომდე უცნობი რჩება.

თავდაპირველად კონფლიქტი შულაიასა და ლათინოამერიკული კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთ ლიდერს შორის მოხდა.

შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. შულაიას მხარი კრივში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ავთანდილ ხურციძემ („ჩაქუჩა“) დაუჭირა. რიცხობრივი უპირატესობა ლათინოამერიკელების მხარეს იყო, რომლებმაც შულაიასა და ხურციძის წინააღმდეგ ცივი იარაღი გამოიყენეს. ადმინისტრაციის ჩარევის შემდეგ მასობრივი ჩხუბი შეწყდა, შულაია და ხურციძე კი ჰემატომებითა და ზედაპირული ჭრილობებით ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ხურციძე სახის არეშია დაჭრილი. სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ შულაია და ხურციძე კარცერში მოათავსეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ანაკლიაში 23 წლის ირანელმა ქალი გააუპატიურა

## ბრალდებული თბილისის აეროპორტში დააკავეს

ანაკლიაში ჩადენილი გაუპატიურების ბრალდებით თბილისის აეროპორტში 23 წლის ბიჭი დააკავეს.

შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებული ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გაუპატიურების ბრალდებით უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ა.ა. დააკავეს.

კურიერის ინფორმაციით, უცხოელი ირანის მოქალაქეა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, თ.ტ-თან, მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში, სქესობრივი კავშირი იძულებით დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევიდან რამდენიმე საათში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

გამოძიება გაუპატიურების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მიმდინარეობს.



# ჯონ მაკკეინს სამხედრო-საზღვაო ძალების აკადემიის სასაფლაოზე დაკრძალავენ

ჯონ მაკკეინს მერილენდის შტატში მდინარე სევრინის მახლობლად აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების აკადემიის სასაფლაოზე დაკრძალავენ. სწორედ აქ განისვენებს მაკკეინის საუკეთესო მეგობარი, ადმირალი ჩაკ ლარსონი. მაკკეინს მის გვერდით დაკრძალავენ.

მაკკეინის სიკვდილის დღეს, ტრამპის ბრძანებით, თეთრ სახლზე აღმართული ამერიკის დროშა დაუშვეს. მეორე დღეს დროშა ისევ აღმართეს, რამაც როგორც კონგრესმენთა, ასევე ვეტერანთა ორგანიზაციების აღშფოთება გამოიწვია. ტრამპმაც განკარგულება გასცა, დროშა კვლავ დაეშვათ.

– მიუხედავად ჩვენ შორის არსებული უთანხმოებისა, სენატორ მაკკეინს უდიდეს პატივს ვცემდი. დროშაც მანამ იქნება დაშვებული, სანამ მაკკეინს არ დაკრძალავენ, – განაცხადა ტრამპმა.

# რუსეთი 1981 წლის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ სამხედრო სწავლებას ჩაატარებს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 1981 წლის შემდეგ სექტემბერში ყველაზე მასშტაბურ სამხედრო სწავლებებს ჩაატარებს.

უწყების ინფორმაციით, „ვოსტოკ-2018“-ის სამხედრო სწავლებებში მონაწილეობას 300.000 სამხედრო მიიღებს.

– ეს სწავლებები რაღაცით იმეორებს „ზაპად-81“-ის სწავლებებს, თუმცა უფრო მასშტაბურია, – განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ.

სამხედრო სწავლებები 11 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება. გამოყენებული იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ სამხედრო ოლქების თითქმის ყველა პოლიგონი. სწავლებებში ასევე იქნება ჩართული 36 ათასი ტანკი, ჯავშანმანქანა და სხვა სამხედრო მანქანები, ასევე ათასამდე თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სამხედრო სწავლებებში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ და ცენტრალური სამხედრო ოლქების ჯარები, ასევე ჩრდილოეთ და წყნარი ოკეანის ფლოტი.

# ტაჯიკეთმა ავღანეთი დაბომბა

ტაჯიკეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ავღანეთის ტერიტორია დაბომბეს.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ავღანელი ნარკოვაჭრები ტაჯიკეთში გადასვლას შეეცადნენ და ტაჯიკმა მესაზღვრეებმა მათ გზა გადაუღობეს. ატყდა სროლა. დაიღუპა 2 მესაზღვრე. ავღანეთის ტერიტორიის დაბომბვაც ამის შემდეგ მოხდა.

ტაჯიკეთის მთავრობას მომხდარის გამო კომენტარი არ გაუკეთებია.

# ბრიტანეთში უცნობი მომწამლავი ნივთიერებით კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

ბრიტანეთის ქალაქ ბატსში უცნობი მომწამვლელი ნივთიერებით მოწამლული ახალგაზრდა აღმოაჩინეს. პოლიცია გამოიძახეს მეზობლებმა, რომლებიც უცნაურმა სუნმა შეაწუხა. პოლიციელებმა კარი გააღეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. 20 წლის ახალგაზრდა მკვდარი იყო.

პოლიციელებმა რამდენიმე საათის შემდეგ თავი ცუდად იგრძნეს. ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას უკვე სხვა პოლიციელებმა სპეციალური კოსტიუმები ჩაიცვეს.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რუსი ჰაკერები მსოფლიო პატრიარქის ელფოსტის გატეხას ცდილობდნენ



ჰაკერთა ჯგუფი, რომელიც კრემლთანაა დაკავშირებული, მსოფლიო პატრიარქის ელფოსტის გატეხას ცდილობდა. მიზანი მსოფლიო პატრიარქის მიერ უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (კიევის პატრიარქატი) ავტოკეფალიის აღიარების საკითხი იყო.

კრემლი შეეცადა, ამ პროცესისთვის ხელი შეეშალა. 2018 წლის გაზაფხულზე მსოფლიოს პატრიარქმა უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი ოფიციალურად დაიწყო.

# მეი ერდოღანს ტელეფონით ესაუბრა

შედგა ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეისა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ერდოღანის სატელეფონო საუბარი.

მეიმ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბრიტანეთს თურქეთის ფინანსთა მინისტრი ეწვია.

– ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ თურქეთი მდიდარი და აყვავებული ქვეყანა იყოს, – განაცხადა მეიმ.

ერდოღანმა თავის მხრივ გამთქვა სურვილი, რომ ინგლის-თურქეთის თანამშრომლობა ყველა სფეროში კიდევ უფრო მტკიცე გახდეს.

ორივე ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ სირიაში მოსაღოდნელი ესკალაციის გამო შეშფოთებულნი არიან. კერძოდ, რეალური საფრთხეა იმისა, რომ ასადი ქიმიურ იარაღს კვლავ გამოიყენებს.

# სასამართლომ ნავალნის შინაპატიმრობა მიუსაჯა

მოსკოვის სასამართლომ რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ ნავალნის 30 დღიანი შინა პატიმრობა მიუსაჯა.

მიზეზი ნავალნის მიერ საჯარო ღონისძიებების შესახებ კანონის დარღვევაა.

თავად ნავალნის მომხრეები მომხდარს აპროტესტებენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბასილაშვილმა ამერიკა მოგებით დაიწყო

2014 წელს, ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ასპარეზობა ტურნირის სტარტზე დაასრულა, როდესაც ალიაშ ბედენესთან დამარცხდა. მას შემდეგ, აგერ უკვე 4 წელია ეს ჩოგბურთელები კორტზე ერთმანეთს აღარ გადაჰყრიან. წლევანდელ ტურნირზე კი მათი გზები კვლავ გადაიკვეთა და რევანშიც შედგა.

ქართველმა ჩოგბურთელმა, რომელიც მსოფლიოს 36-ე ჩოგანია, ალიაშ ბედენე უდაბურულეს თრილერში დაამარცხა. მატჩი 3 საათსა და 19 წუთს გაგრძელდა და ჩვენებურმა 5 სეტში – 6:2, 4:6, 6:2, 2:6, 6:4 იმარჯვა.

არადა, მატჩი ბასილაშვილისთვის ცუდად დაიწყო – ქართველმა თავისი პირველივე მოწოდება წააგო, მაგრამ იმავე სეტში მეტოქე 3-ჯერ დააბრეიკა და დაწინაურდა.

მეორე სეტში გადამწყვეტი მე-7 გეიმი გამოდგა, როდესაც ნიკამ მოწოდება წააგო და შემდეგ სეტიც.

მესამე სეტში ნიკამ მეტოქეს 2 მოწოდება აართვა, მაგრამ ამდენივე დათმო მეოთხე სეტში და ანგარიში კვლავ გათანაბრდა.

გადამწყვეტი, მეხუთე სეტის დასაწყისი ცუდი იყო – ნიკამ მოწოდება დათმო და წაგების საფრთხე გაჩნდა, მაგრამ ჩვენებურმა ჯერ იქვე დაიბრუნა თანაფარდობა, ბოლო გეიმში კი ისევ ბრეიქი და ნიკა მეორე წრეშია, სადაც მეტოქე ამერიკელი ჯეკ სოკი იქნება, რომელმაც არგენტინელი გვიდო ანდრეოცი 3 სეტში დაამარცხა. ჯეკ სოკი რეიტინგში ამჟამად მე-18 პოზიციაზეა.

ამ გამარჯვებით ჩვენებურმა თავის სარეიტნგო მონაგარს 45 ქულა შესძინა და არ არის გამორიცხული, ამ ტურნირის შემდეგ საერთო კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დაწინაურდეს.

# ვაისს ცვლილების გაკეთება პირველივე დღეს მოუხდა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის მატჩებისთვის მზადებას 25 ფეხბურთელით იწყებს. ვლადიმირ ვაისს უკვე დასახელებულ შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილების გაკეთება პირველივე დღეს მოუხდა. ტრავმის გამო ეროვნულ ნაკრებს ლაშა დვალი გამოაკლდა – პოლონური პოგონის ფეხბურთელს ლატვიური რიგასის მცველი ლაშა შერგელაშვილი შეცვლის.

ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით, ეროვნული ნაკრები 3 სექტემბერს თბილისში შეიკრიბება. ქართველი ფეხბურთელები 3 და 4 სექტემბერს, წლის პირველი ოფიციალური მატჩისთვის თბილისში მოემზადებიან. ჩვენი გუნდი ასტანაში 5 სექტემბერს გაემგზავრება. ყაზახეთისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებთა შეხვედრა 6 სექტემბერს ჩატარდება. ერთა ლიგის მეორე ტურის მატჩი საქართველოსა და ლატვიას შორის 9 სექტემბერს, „დინამო არენაზე“ შედგება.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ყაზახეთთან და ლატვიასთან მატჩებში:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელარუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი არაბიძე (ნასიონალი, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი).

**მსგავსი ფორსმაჟორული სიტუაციის გამო ვაისის თვალთახედვის არეში კიდევ 5 ფეხბურთელია:**

ლევან გეგეჭკორი (ტორპედო), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), საბა ღობუანიძე (რანდერსი, დანია), ბუდუ ზივზივაძე (დინამო თბ).

# პირველად ამერიკაში

ამერიკის ღია პირველობა სულ რაღაც საათ-ნახევარის დაწყებული იყო, როდესაც ის სიმონა ჰალეპმა დატოვა. რა არის ამაში საინტერესო? ეს საჩოგბურთო ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც რეიტინგის ლიდერი ამერიკის პრესტიჟულ ტურნირს სტარტზე ემშვიდობება.

რუმინელმა ჩოგბურთელმა ნაბიჯიც კი ვერ გადადგა. წლევანდელი როლან გაროსის ჩემპიონი მოულოდნელად რეიტინგის 44-ე ნომერთან, კაია კანეპთან განადგურდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰალეპს ამერიკის ღია პირველობის წილისყრაში არ უმართლებს ხოლმე. შარშან მას პირველ წრეში მარია შარაპოვა გადაეყარა, ახლა კი – ჰარდზე საკმაოდ კარგად მოთამაშე კანეპი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ესტონელი ჩოგბურთელი შარშან ნიუ იორკში მეოთხედფინალამდე მივიდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ მატჩამდე კაია კანეპს რეიტინგის პირველი ნომერი მხოლოდ ერთხელ ჰყავდა დამარცხებული. 2011 წელს მან ტოკიოში კაროლინ ვოზნიაცკის აჯობა.

# ზაზა ფაჩულიას ბუღალტერი თაღლითობისთვის დააკავეს

ზაზა ფაჩულია და მისი ოჯახი სერიოზულ შარს გადაურჩნენ. დიდი შანსი იყო, მათი საქმიანობით ამერიკის პოლიცია დაინტერესებულიყო. თუმცა, ქართველი კალათბურთელი საერთოდ უდანაშაულო იყო საქმეში.

ვინმე რენდი დი უსოუ, ბუღალტერი ვისკონსინის შტატის ქალაქ მეკვონიდან აღიარებს, რომ საგადასახადო მაქინაციებით მან დაახლოებით 800.000 დოლარი მიითვისა. უსოუ ცრუ საგადასახადო დეკლარაციებს ავსებდა ზაზა ფაჩულიასა და მისი მეუღლის სახელით.

62 წლის უსოუს 2 ბრალდება აქვს – სახელმწიფო ქონების მოპარვა (საგადასახადო თაღლითობა), მითვისება და პირადი მონაცემების ქურდობა (პიროვნების იდენტიფიკაციის გაყალბება). პირველის მიხედვით, უსოუს 10 წლამდე ციხე და 250.000 დოლარი ჯარიმა ეკუთვნის, მეორე ბრალდება კი, 2 წლამდე პატიმრობას გულისხმობს. თუმცა, უსოუმ დანაშაული აღიარა, პროკურატურამ ეს გაითვალისწინა და 3-წლიან ციხეზე და ჯარიმის სახით 618.455 დოლარის გადახდაზე შეუთანხმდა.

უსოუ საკუთარი კომპანიის მფლობელია. 2004 წელს გაიცნო ზაზა ფაჩულია – ერთი წლის მერე, რაც ჩვენებური ამერიკაში სათამაშოდ ჩავიდა. იმ დროიდან მოყოლებული 2015 წლის ჩათვლით უსოუ ზაზა ფაჩულიასა და მისი მეუღლის გადასახადებს აკონტროლებდა. როგორც გამოძიებიდან ირკვევა, 2011-2015 წლებში უსოუმ ფიქტიური შემოსავლები შეიტანა, რის წყალობითაც 800.000 დოლარის კომპენსაცია მიიღო. მხოლოდ ერთჯერადად უსოუმ 463.867 დოლარი მიითვისა. ეს თანხა ჩაირიცხა ანგარიშზე, რომელიც უსოუმ ფაჩულიას სახელით შექმნა, ისე, რომ კალათბურთელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ზაზასა და მის მეუღლეს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა მაქინაციებთან ჰქონდა საქმე მათ ბუღალტერს. უსოუმ ჩვეულებრივ აჩვენა ბიუჯეტიდან მიღებული თანხების სულ სხვა საბუთი, რომელზეც ასახული იყო 164.000 დოლარი (ზუსტად იმდენი, რამდენიც უნდა ყოფილიყო წესების დაცვით). რაც შეეხება სხვაობას, ბუღალტერი მას სხვა ანგარიშზე რიცხავდა, რომელსაც თავად აკონტროლებდა.

ფაჩულიამ და მისმა მეუღლემ 2016 წელს უჩივლეს უსოუს კონტრაქტის დარღვევისთვის, დაუდევრობისათვის და ინფორმაციის დამახინჯებისთვის. საჩივარში ჩანს, რომ უსოუ შეჰპირდა წყვილს ყველა გაუგებრობის მოგვარებას, რაც საგადასახადო სამსახურთან შეიქმნა.

2013 წლის მარტში ფაჩულიამ და მისმა მეუღლემ 499.403 დოლარი მიიღეს ფედერალური შემოსავლიდან, მოუვიდათ ცნობა, რომ მათ საკითხს აუდიტი შეამოწმებდა. ბუღალტერი კალათბურთელს შეეპირდა, რომ აუდიტორულ საკითხს მოაგვარებდა. თუმცა, 2015 წელს ფაჩულიას აცნობეს, რომ მისი მომდევნო წლების შემოსავლებიც აუდიტის შემოწმებას ექვემდებარებოდა. მაშინ ფაჩულიამ საგადასახადო ადვოკატი დაიქირავა, რომელმაც აღმოაჩინა უსოუს დოკუმენტაციებში დიდი სხვაობები, რის გამოც ზაზას ოჯახს 82.000 დოლარის ჯარიმის გადახდაც მოუწია.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სასამართლოში უსოუს საქმის განხილვა, რის შემდეგაც ქართველი კალათბურთელი შარს გადაურჩა.

# მასიმილიანო ალეგრი: „მოედანზე 11 ფეხბურთელზე მეტი ვერ გამყავს“

მიუხედავად იმისა, რომ ტურინის იუვენტუსმა სეზონი 2 გამარჯვებით დაიწყო, გულშემატკივრებს მთავარ მწვრთნელ მასიმილიანო ალეგრისთან კითხვები მაინც აქვთ.

განსაკუთრებით პრეტენზიები წამოვიდა დიბალსა და კოშტას უთამაშებლობაზე, რასაც ალეგრიმ კონკრეტული პასუხი გასცა. თუმცა, იუვეს მწვრთნელმა სხვა თემებზე ისაუბრა.

**მასიმილიანო ალეგრი:**

– პირველ ტურში, კიევოსთან განსხვავებით, ლაციოსთან უდავოდ უკეთესი მატჩი ვითამაშეთ, სადაც პირველივე წუთებიდან ვჩქარობდით. შესაძლოა, ამის მიზეზი ის ენთუზიაზმი იყო, რაც რონალდუს პირველ მატჩს მოჰყვა შინაურ არენაზე.

მართალია, რომ დიბალას გარეშე ზონებს შორის გადაადგილება ჭირდა, მაგრამ თავს უკეთ ვიცავდით და მეორე ნახევარში თამაშის ხარისხი შედარებით გამოვასწორეთ. საბოლოო ჯამში, კმაყოფილი ვარ, რადგან რეალურად ეს იყო პირველი მატჩი, როდესაც ჩვენ წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი კოლექტივი ირჯებოდა.

ერთია, დრო და დრო გვეძინება, ან, შესაძლოა, იქ ავფეთქდეთ, სადაც ამის საჭიროება საერთოდ არ არის. ამ ეტაპზე სწორი ბალანსის პოვნა გვესაჭიროება. იყო ეპიზოდი, როდესაც ლაციალე გადაღლილი გამოიყურებოდა და სწორედ ამ დროს იყო ტემპის მომატება საჭირო.

სასტარტო შემადგენლობის არჩევისას ვეძებ ტექნიკის, სისწრაფის და საიმედოობის სინთეზს. თუმცა, ვინც სათადარიგოთა სკამზე რჩება, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ არ არის გამოსადეგი. უბრალოდ, 11-ზე მეტს მინდორზე ვერ გავიყვან.

რონალდუ? იტალიური ფეხბურთი ესპანურისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და მას ეს კარგად ესმის. იგი საქმეს ბრწყინვალედ უძღვება. იგი ძალზე მოკრძალებული ბიჭია და კმაყოფილი ვარ იმ ატმოსფეროთი, რაც მან გუნდისთვის მოიტანა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

**27 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჰიმეიჩიგა**

მანჩესტერი-ტოტენჰემი ..... 0:3

**სატჩინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2.ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 3.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 4.უოტფორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 5.სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 6.ბორნმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 7.ლესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 8.ევერტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 9.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 10.კრ.პალასი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 11.ფულემი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 12.ბრაიტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13.ვულვზი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 14.მანჩესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15.კარდიფი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| 16.ნიუკასლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 17.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 18.ბარნლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 19.ჰადერსფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-9 | 1 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

**ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი**

ლევანტე-სელტა ..... 1:2

ბილბაო-უესკა ..... 2:2

**სატჩინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5.სოსიედადი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.უესკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 8.სელტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.ლევანტე | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 11.ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12.ლეგანესი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 13.ვილიარეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ვალიდოლიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15.ვალენსია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16.ხირონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 17.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 19.ეიბარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.რაიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მახადაონდა-მალიორკა ..... 0:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-არმინია ..... 3:0

**იტალია. სერია ა**

რომა-ატალანტა ..... 3:3

**სატჩინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3.სპალი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 5.რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 3 |
| 6.უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.სასუოლო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 9.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 10.ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 11.ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12.ინტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.ბოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.ფროზინონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 15.პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 17.მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 18.სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.კიევო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ლეჩე ..... 3:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-გაზელეკი ..... 0:0

**პორტუგალია. ჰიმეიჩა ლიგა**

მორეირენშე-ბელენენსეში ..... 1:1

**ხუსეთი. ჰიმეიჩლიგა**

ენისეი-კრილია ..... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-არისი ..... 0:3

ბაშაქშეჰირი-აქხისარი ..... 3:1

გალათასარაი-ალანია ..... 6:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სლოვაცკო-ზლინი ..... 0:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სოსნოვეცი-სლასკი ..... 3:3

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ესბიერგი ..... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დალკურდი-ჰამარბი ..... 2:3

კალმარი-იორებრო ..... 0:1

ნორჩიოპინგი-გიოტებორგი ..... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტარტი-ოდ გრელანდი ..... 0:1

# მოურინიოს ისევ იცავენ

ისევე, როგორც პრემიერლიგის მეორე ტური, მესამე ტურიც უსახური გამოდგა ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მანჩესტერ იუნაიტედისთვის. ჟოზე მოურინიოს შეგირდებმა „ოლდ ტრაფორდზე“ მაურისიო პოჩეტინოს ტოტენჰემს უმასპინძლეს და ანგარიშით 0:3 დათმეს შეხვედრა.

მატჩის შემდეგ, ტრადიციულად, ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ინგლისის პრემიერ ლიგის იმაზე მეტი ტიტული აქვს ვიდრე ამჟამად ჩემპიონატში მომუშავე 19 მწვრთნელს.

**ჟოზე მოურინიო:**

– მატჩამდე კარგი სამუშაო შევასრულეთ და შესაბამისად ვემზადებოდით. ბიჭებმა სწორი დამოკიდებულება აჩვენეს თავიდანვე თამაშის მიმართ. შეიძლებოდა შესვენებამდე ანგარიში 1:0, 2:0, ან სულაც 3:0 ყოფილიყო, თუმცა, მერე ყველაფერი შეიცვალა, გაშვებულმა ერთმა გოლმა სხვა არხზე გადაგვრთო, ხოლო მესამე ბურთმა უკვე მოკლა ყველაფერი. ტაქტიკური თვალსაზრისით კარგად ვაკონტროლებდით ყველაფერს, თუმცა მიუხედავად ამის მაინც დავთმეთ შეხვედრა. გულშემატკივრები რეაგირებენ იმაზე თუ რა იწერება პრესაში და რას საუბრობენ ტელევიზიაში. ისინი ბევრად უფრო ჭკვიანები არიან. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დამარცხების შემდეგ, გულშემატკივრების ის რეაქცია რაც კლუბის მიმართულებით იყო ჩვენ დავიმსახურეთ. დღეს გუნდმა მოედანი დატოვა გულშემატკივრების აპლოდისმენტებით, ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს და აკეთებენ იმისთვის, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს.

ამ განცხადების შემდეგ ჟურნალისტმა მოურინიოს ანგარიში შეახსენა... მოურინიომ კი 3 თითი აღმართა და მედიას მიმართა:

– იცით, ეს რას ნიშნავს? 3 საჩემპიონო ტიტულს პრემიერლიგაში. ამას გარდა, მე იმაზე მეტი ჯილდო მაქვს მოგებული, ვიდრე პრემიერლიგის დანარჩენ 19 მწვრთნელს ერთად აღებულს. ასე რომ, მეტი პატივისცემა გამოიჩინეთ... და ჟოზემ საპრესკონფერენციო დარბაზი უკანმოუხედავად დატოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოურინიოს მიმართ ზეწოლამ მოიმატა. თუმცა, განსხვავებული მოსაზრება აქვს ინგლისელ სპეციალისტს სემ ელერდაისს. მან პორტუგალიელს მხარდაჭერა გამოუცხადა.

სემ ელერდაისი:

– მანჩესტერ იუნაიტედი კარგად თამაშობდა, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. მათ ბურთის ფლობის მაჩვენებელი 57% ჰქონდათ, კარისკენ 23-ჯერ დაარტყეს, ხოლო კარში – 5-ჯერ. რაც შეეხება ტოტენჰემს, ლონდონელებმა მოწინააღმდეგეს მხოლოდ და მხოლოდ მომენტების რეალიზებაში აჯობეს. როდესაც გუნდი კარის მიმართულებით 23-ჯერ ურტყამს და ვერ გააქვს, ეს არ არის მწვრთნელის ბრალი.

**მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა**

# კორეელმა სკუტერით 37 ქვეყანა შემოიარა

კორეელი იუნ გუ რო სკუტერით მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გაემგზავრა, გაიარა ათეულათასობით კილომეტრი და, დიდ ბრიტანეთში ჩასული, საკუთარი სატრანსპორტო საშუალების გარეშე დარჩა.

წლისა და ორი თვის განმავლობაში 43 წლის იუნმა 37 ქვეყანა მოიარა და ჰონდას ფირმის სკუტერით 64 ათასი კილომეტრი გაიარა. მან აღიარა, რომ ყოველთვის ოცნებობდა მოგზაურობაზე და დიდი ხანია, დიდ ბრიტანეთში ჩასვლა სურდა. სწორედ დიდი ბრიტანეთში, კერძოდ, მანჩესტერში შესაძლოა დასრულებულიყო მისი მოგზაურობა. ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში მან გამოაქვეყნა განცხადება, რომ სკუტერი მოჰპარეს. მის საბარგულში ეწყო იუნის მთელი ნივთები, ვიდეოკამერის, პასპორტისა და პლანშეტის გამოკლებით.

ქალაქის მცხოვრებლებმა გადწყვიტეს, დაზარალებულ კორეელს დახმარებოდნენ. მაღაზიის მფლობელმა ლი ჰინდლმა, სადაც სკუტერის დაკარგვამდე თავის სატრანსპორტო საშუალებას ზეთი შეუცვალა, შემოწირულობის მიღება დაიწყო, რათა მოგზაურისთვის ახალი სკუტერი შეეძინათ.

ორ დღეში ბაიკერებმა მისთვის სამი ათასზე მეტი ფუნტის შეგროვება მოახერხეს. ასევე მთელი ამ დროის განმავლობაში ჰინდლი და მისი მეგობრები კორეელს საკვებით უზრუნველყოფდნენ და მისი ბინის ქირის ფულსაც იხდიდნენ.

– ჩვენ, უბრალოდ, გვსურდა, მისთვის გვეჩვენებინა, რომ ყველა ბრიტანელი როდია ცუდი, – განაცხადა მაღაზიის მეპატრონემ.



# ვაინონა რაიდერი: „25 წელია, კიანუ რივზზე ვარ დაქორწინებული“

ამერიკელმა მსახიობმა ვაინონა რაიდერმა განაცხადა, რომ უკვე 25 წელია, დაქორწინებულია თავის კანადელ კოლეგა კიანუ რივზზე.

რაიდერის თქმით, ფილმ „დრაკულას“ გადაღების დროს, რომელშიც მსახიობების გმირები ქორწინდებიან, ადგილობრივმა ღვთისმსახურმა ნამდვილი ჯვრისწერა ჩაატარა.

– ღმერთს ვფიცავ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ნამდვილად დაქორწინებულები ვართ, – განაცხადა რაიდერმა.

აღსანიშნავია, რომ მის გვერდით მყოფმა რივზმა ვერ გაიხსენა, რაზე იყო საუბარი, მაგრამ რაიდერმა მას შეახსენა, ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, ითვლება თუ არა რუმინეთში ჩატარებული ჯვრისწერა აშშ-ში ლეგიტიმურად.

# საპატარძლომ ქორწილი იმის გამო გააუქმა, რომ სტუმრებმა ფულის გადახდაზე უარი უთხრეს

კანადაში საპატარძლომ ქორწილზე იმის გამო თქვა უარი, რომ სტუმრებმა მის მიერ მოთხოვნილი 1,5 ათასი დოლარის დადებაზე უარი განაცხადეს.

კანადელი, სახელად სიუზენი, რამდენიმე წლის განმავლობაში გეგმავდა საოცნებო ქორწილს, რათა თუნდაც ერთი დღით თავი კარდაშიანად ეგრძნო. ამის შესახებ მან ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა. ამისთვის ის და მისი საქმრო ფულს აგროვებდნენ და საბოლოოდ 15 ათასი დოლარი შეაგროვეს. თუმცა გოგონამ ეს თანხა საზეიმო ღონისძიებისთვის არასაკმარისად ჩათვალა, ვინაიდან, მისი გაანგარიშებით, საოცნებო ქორწილისთვის 60 ათასი დოლარი იყო საჭირო. ამიტომ მან ყველა დაპატიჟებულ სტუმარს მისთვის 1,5 ათასი დოლარის ჩუქება დააკისრა.

სტუმრების უმრავლესობამ მისი თხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა და სიუზენმა დანიშნულ თარიღამდე ოთხი დღით ადრე ქორწილის გაუქმების თაობაზე განცხადება გააკეთა. მან ასევე განაცხადა, რომ დაშორდა საქმროს, რომელიც მის გეგმებს უგუნურს უწოდებდა და მოკრძალებული ცერემონიის გამართვას სთავაზობდა. ის ასევე წაეჩხუბა ყველა თავის მეგობარს, რომლებიც მას მოუწოდებდნენ, ბიუჯეტის ფარგლებში ემოქმედა. სიუზენმა უკვე მიღებული თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა, რაც იმით ახსნა, რომ ის მისი ტანჯვა-წვალების კომპენსაციას წარმოადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მთვრალმა იაპონელმა პოლიციელები მოატყუა

იაპონიაში მთვრალმა მამაკაცმა პოლიციელები მოატყუა, რომ პისტოლეტი მოიპარა. ეს მან იმისთვის გააკეთა, რომ სახლში მიეყვანათ.

ინციდენტი ქალაქ ფუკუოკაში მოხდა. პოლიციელებს უცნობმა პირმა ტაქსოფონიდან დაურეკა და აცნობა, რომ პისტოლეტი მოიპარა და პოლიციის ჯიხურისკენ მიემართება.

– თუ შეიძლება, მხოლოდ ფეხებში მესროლეთ, – ითხოვა მამაკაცმა.

გამოძახებაზე რვა პოლიციელისგან შემდგარი ჯგუფი გავიდა, მაგრამ შეიარაღებული დამნაშავის მაგივრად ადგილზე 68 წლის მთვრალი უმუშევარი დახვდათ, რომელმაც აღიარა, რომ გადაწყვიტა, ასეთი ხერხით მიეღწია სახლამდე.

– ტაქსის გაჩერებას ვერ ვახერხებდი და ვიფიქრე, რომ სახლში პოლიციელები მიმიყვანდნენ უფასოდ, თუ ვიტყოდი, რომ პისტოლეტი მოვიპარე, – განაცხადა იაპონელმა. ის ცრუ გამოძახებისთვის დააპატიმრეს.

# ასტროპროგნოზი

## 29 აგვისტოსთვის

**ვერძი** – გელით სასიხარულო შეხვედრა. იაქტიურეთ და ენთუზიაზმი გამოიჩინეთ. **კურო** – ჰარმონიული დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გაამართლებს. **ტყუპები** – ამბიციურობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **კირჩხიბი** – გამოიჩინეთ დიპლომატიურობა. ეცადეთ, წყენა მალე დაივიწყოთ. იზრუნეთ ოჯახურ კომფორტზე. **ლომი** – ემოციურად არასტაბილური დღეა. სისუსტე არ გეპატიებათ. **ქალწული** – პროფესიონალური განვითარებისათვის შესაფერისი დღეა. კოლეგებთან და უფროსობასთან კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. **სასწორი** – კარიერული წინსვლა თქვენს შრომისმოყვარეობასა და პასუხისმგებლობის გრძნობაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ღრიანკალი** – იზრუნეთ ოჯახის წევრებზე, მაგრამ საკუთარ თავსაც ნუ უგულებელყოფთ. საღამოს დაისვენეთ და ენერგია აღიდგინეთ. **მშვილდოსანი** – მცირეოდენი შანსიც კი, რომელიც მოგეცემათ, ხელიდან არ გაუშვათ. დახმარებას ნურავის სთხოვთ. მიენდეთ საკუთარ ინტუიციას. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა, აღსავსე ცდუნებებითა და ფუჭი ილუზიებით. ყოველგვარი რისკი გამორიცხეთ, განსაკუთრებით – კომერციული ოპერაციებისას. **მერწყული** – ფიზიკური დატვირთვისთვის ეს დღე ძალზე შესაფერისია. აქტიური დასვენება, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **თევზები** – ნურავის მიენდობით. შესაძლოა, მოტყუებული დარჩეთ. დიდია ცრუ დაპირებების ალბათობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჯოსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მძაფრი დაცინვა; 2. ძველებური ჯიბის საათი; 3. „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის მსუბუქი ავტომობილი; 4. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 12. უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 14. სამკურნალო მცენარე; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. გეომეტრიული ფიგურა; 19. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა.

**თარაზულად**: 5. ზღვის დიდი ათფეხა ჯავშნიანი კიბორჩხალა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 6. შეძენილი ჭკუასუსტობა; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 15. გულში ნადები სევდა, ბოღმა; 18. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი; 20. უნივერსიტეტი მადრიდში; 22. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. უბანი თბილისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. ევრო; 3. დემაგოგია; 4. ბზიფი; 5. ვაქცინა; 8. ვეზუვი; 9. ბალისტიკა; 12. სალათი; 14. აილამა; 16. ულისე.

**თარაზულად:** 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. ჩხავერი; 9. ბორანო; 10. ფიტი; 11. გურიელი; 13. ფრაზა; 15. მალიბუ; 17. კაპრალი; 18. კახეთი; 19. პრემია; 20. ბეთანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრიუკი; 2. სვანეთი; 3. ბერგმანი; 4. ტრიგლიტი; 8. გალაქტიკა; 9. კარიატიდა; 11. კომედია; 12. ცემი; 14. ჯინი; 16. მოთხრობა; 17. მუკუზანი; 19. ყინული; 21. სელბი.

**თარაზულად:** 5. ჰელვეცია; 6. ტალავარი; 7. ბუკმეკერი; 10. ჩანახი; 13. ხარატი; 15. ამნეზია; 18. ტონიკი; 20. ფადიკო; 22. შინჰოფერი; 23. აბრსკილი; 24. აბერდინი.

# ანა სუბელიანი ანაკლიაში ძალადობის მსხვერპლი გახდა

**მომღერალი ანა სუბელიანი ანაკლიაში გამართულ ფესტივალზე ძალადობის მსხვერპლი გახდა. ინფორმაცია ამის შესახებ მან თავად გააკრცელა:**

– ორი დღეა ვითმენ იმ მარაზმს, რაც ანაკლიაში ხდება. ვუწევ ანგარიშს ორგანიზატორებს, იმასაც ვფიქრობ, რომ საერთოდაც ნაჩუქარი ბილეთით ვარ და მადლობის მეტი რა მეთქმის-მეთქი. მარა, არა მეგობრებო, არც ნაჩუქარი მინდა ასეთი ჩამწარებული დღეები, ნუ შემიქმნით ტყუილად ილუზიას, რომ უსაფრთხოდ და ბედნიერად შემიძლია თქვენთან ვიგრძნო თავი. არაორგანიზებულობას, მკვდარ სთეიჯებს და ბევრ რამეს დავაიგნორებდი, მაგრამ ორი ამბავი, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად მაგრძნობინა და უსაფრთხოების განცდა წამგლიჯა, სიჩუმის უფლებას აღარ მაძლევს.

1. ღამე ზღვაში შევედი, ნაპირთან მოვიდა მაშველი, რომელმაც ყვირილი დამიწყო, რომ უნდა ავსულიყავი ზემოთ. მე ეგრევე ნაპირისკენ დავიძარი, ამასობაში მოგროვდა ექვსი მაშველი, რომლებიც ისე განლაგდნენ, რომ ასვლა უშუალოდ მათ გვერდით, არაადეკვატური დისტანციით ჩავლის გარეშე წარმოუდგენელი იყო. წელსზევით შიშველი ვიყავი, ხელებაფარებული ავედი და ვთხოვე ადგილის მოცემა, ესენი მიყურებდნენ პირდაპირ ძუძუებზე ზიზღით. დავჯექი, გავეხვიე შარფში და ახლა ზემოდან წამომადგა ექვსივე, ღამის ალყაში მომაქციეს და ერთი მიყვიროდა, არ იცი, რო აქ ღამე ჩასვლა არ შეიძლებაო? ძლივს მოვიშორე, ფესტივალის პასუხისმგებლობაა ისიც, რომ ეს წესი ჩემთვის ცნობილი იყოს და ისიც, თუ როგორ მაგრძნობინებენ თავს ამ წესის გაცნობისას.

2. ერთ-ერთ საკვებ ობიექტში სიმინდი შევუკვეთე. შეკვეთაც ძლივს გავაფორმე, საერთოდ ძლივს მოვახედე ჩემკენ ეს ბიჭი. სახეზე ეწერა, რო მაგრად არ ცხელოდა ჩემთვის. დავჯექი და ველოდე ერთი საათი! ბოლოს ვკითხე ძალიან მეგობრული ტონით, რამე პროგრესი იყო თუ არა, ამაზეც მხოლოდ მესამედ გამეორების შემდეგ მომეცა მისგან რეაქციის მიღების ბედნიერება. სრულიად გადაწელილი და აგდებული ინტონაციით მეუბნება, რომ აი, ახლა გაუშვა ვიღაც ყანაში სიმინდის მოსაწყვეტად. რაზეც მივუგე, რომ უნდა ესმოდეს, რომ ობიექტურად ტვინი მომე..ნა და ცოტა მეტი პატივისცემით მაინც მესაუბროს. ამას მოყვა ძველბიჭურ-ბაბულიკური გარჩევის კლასიკა, რომ მე შემთხვევით ეს ბიჭი ვიღაც პოვარი ხო არ მგონია და თავისი ძმაკაცების თვალწინ უზრდელურად როგორ ველაპარაკები. ძალიან სამარცხვინო, დემაგოგიური მეთოდი, როდესაც ფაქტების სკაბრეზით აღწერას ისე აინტერპრეტირებენ, თითქოს ამ ცაკალელებს პირადად მიაყენე შეურაცხყოფა და ღირსება შევულახე. მოკლედ, გამოვეცალე და დავჯექი მინდორში მეგობრებთან ერთად. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა, პირდაპირი მნიშვნელობით მომიგდო სიმინდი და ზედ დააყარა ფული, აჰა შენი ფულიც უკანო. მგონი გასაგებია, რომ ეს გამოიწვევდა ჩემს ემოციურ და არანაკლებ უხეშ პასუხს, რაზეც მისგან მივიღე ძლიერი დარტყმა სახეში. იეს, არ გეჩვენებათ. მე ფესტივალზე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გავხდი. მეც მივვარდი და ვიქნევდი ხელებს, მახსოვს. ამ ტიპმა რო გამარტყა, წამოვხტი და ვცემე. ამბობენ, ცხვირი აქვს გატეხილიო. ამინ.

ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ თანამშრომლებთან და პოლიციასთან ამ ყველაფრის გარჩევისას მთელი მისი საძმაკაცო მე მადანაშაულებდა, იტყუებოდნენ, რომ ამ ბიჭს არაფერი დაუშავებია და მე მივვარდი, იმედი მაქვს კამერა დააფიქსირებდა ყველაფერს, და მეტიც, ჩემს მემორიალზე ცეკვასაც ასახელებდნენ ჩემი ლანძღვისას.

მონაწილეებს თუ არ ზღუდავთ, იმისთვის რომ წაგებაში არ წავიდეს ფესტივალი, სტაფი და მომსახურე პერსონალი მაინც რო შეარჩიოთ მეტი ყურადღებით, დაატრენინგოთ, მოამზადოთ, ეს მაინც ხო შეგიძლიათ? ეს მაინც ხომ არის თქვენი პირდაპირი პასუხისმგებლობა? ამას არ გვაძახებდით მთელი ეს თვეები, არიქა, ისეთი სტაფი იქნება, საამაყოო? სირცხვილი! დამამშვიდებელიც კი ვერ მომიტანეს, მე უნდა გადამევლო მთელი ფესტივალის ტერიტორია თურმე! არანაირი სენსიტიურობა სტაფისგან, დაზეპირებული „დამშვიდდის“ მეტს რომ არაფერს გეუბნებიან და იქით გსაყვედურობენ კიდე, მოყოლისას აკანკალებული და აცრემლებული „ცუდ სიტყვებს“ რომ იყენებ.

ახლა მეც და ჩემი მეგობრებიც პოლიციის განყოფილებაში ვყურყუტებთ, თავი მისკდება, ისევ ვკანკალებ, ვიცი, რო საათები უნდა ვიყურყუტო, რადგან ერთი განცხადების და ოქმის შედგენას სჭირდება საუკუნე! კიდე იმაზე მეფიქრება, რო შეიძლება იქით მამართლებინონ თავი, რომ ახლა ამ პოსტის გამო ფესტივალის ადმინისტრაციაც თავდაცვის პოზიციაში ჩადგეს და ამ ყველაფრით კიდევ მეტი მორალური ზიანი მომადგეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება.

ფესტივალის ადმინისტრაციამ დახურა ამ ტიპის ჯიხური და შეუწყვიტა საქმიანი ურთიერთობა. ამბობენ, რომ პოსტში აღწერილ სხვა რამეებსაც არ დატოვებენ ყურადღების გარეშე.

გადამიყვანეს ზუგდიდში დაკითხვის ოქმის ჩასაბარებლად და შემდეგ ექსპერტიზაზე ქუთაისში.

დღეები, რომლებიც გამორჩეულად რომანტიული, ლამაზი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო ჩემთვის და ჩემი ბიჭისთვის, ამ ქვეყანამ ჯოჯოხეთად გვიქცია ორივეს.

მე თუ ჩემ თავს არ მივხედე, მომკლავენ და მომ..ნავენ, ან მომ..ნავენ და მომკლავენ, ან ჩემით ვიზამ ორივეს. მერე წმინდანად შემრაცხავენ, მემორიალს აღმიმართავენ და ერთი იცი წლის მერე ვიღაც გოგო ზედ რო იცეკვებს, ზედვე დააკლავენ. ხოდა გამანებეთ თავი თქვენი ჭირიმე რა, ვიწყებ ზრუნვას ქვეყნიდან წასვლაზე სასწავლებლად, დასასვენებლად, ადამიანური სახის დასაბრუნებლად. ამაში თუ გინდათ დამეხმარეთ. არანაირი სხვა შემოთავაზება-გამოწვევა-პასუხისმგებლობა არ გამიჩითოთ, ძალიან გთხოვთ. გამანებეთ თავი! ნურც იმას ნუ მეტყვით, რო ჩემი იმედი გაქვთ და ნუ შემაგდებთ ნამუსზე. აწი თქვენც გაანძრიეთ ტრაკები და თქვენც იბრძოლეთ საკუთარი და სხვების უფლებებისთვის. ან გაიქეცით აქედან, სანამ ან ციხეში არ გიკრეს თავი, ან ფსიქიკური აშლილობა არ დაგმართეს.

მირეკავს გამომძიებელი და მეუბნება, რომ ანაკლიაში უნდა გამოვცხადდე თურმე. თავიანთი უუნარობით რო ცხვირწინ მყოფი ეს ტიპი არ დაუკავეს, თბილისში გაექცათ და მხოლოდ გუშინ დაუკავებიათ, ახლა მე მეუბნებიან, რო გუშინ ღამე იქიდან ჩამოსული უკან უნდა გავბრუნდე თურმე. გამოზომილი მაქვს თითოეული წუთი, უმნიშვნელოვანესი დღეებია ჩემთვის, თავს ძალას ვატან, რო განვლილ დღეებზე არ ვიფიქრო და მომდევნო 2-3 დღე მაინც შევირგო და ადამიანს, რომელმაც 3500 კილომეტრი გამოიარა ჩემთვის. და არა, არ მაქვს უფლება. ბოლომდე უნდა გამანადგურონ. არადა, იმ ჩემთვის კოშმარად ქცეულ ფესტივალზეც მაგიტომ დავრჩი ბოლომდე, რომ შემპირდნენ, ეს დრო საკმარისი იქნებოდა.

ხოდა, ახლა გადამაფრინონ და გადმომაფრინონ. ისე მე იქ წამსვლელი არ ვარ! არ არსებობს! და რამენაირად, ბრალის წაყენებისთვის კამერის ჩანაწერებით ისარგებლონ, თუ ჩემს სწრაფ ტრანსპორტირებას ვერ უზრუნველყოფენ.

ფესტივალს აუცილებლად მოვთხოვ მორალური ზიანის ანაზღაურებას. ბოდიშიც კი არ მოუხდიათ ჩემთვის და არაფრით არ უცდიათ ჩემთვის კოშმარად ქცეული დღეების ოდნავ მაინც გამოსწორება. იყო ერთადერთი გამონაკლისი ფესტივალის თანამშრომლებს შორის და მას მადლობა ყურადღებისთვის, ის რო არა, იმ ტიპის ბიზნესი ბოლომდე კოხტად იმუშავებდა ფესტივალზე.

ისტერიკით ვწერ, არ ვარ საღ ჭკუაზე. მთელი ქვეყნის გადაწვა მინდა, ისეთ დღეში ვარ უკვე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ამერიკელებმა უსახლკაროსთვის 400 ათასი დოლარი შეაგროვეს, მაგრამ დახმარება გადაიფიქრეს

ამერიკელმა წყვილმა უსახლკაროსთვის 400 ათასი დოლარი შეაგროვა, თუმცა შემდეგ ამ თანხის მისთვის მიცემაზე უარი განაცხადა.

2017 წლის ნოემბერში უსახლკარო ჯონი ბობიტმა უკანასკნელი 20 დოლარით ერთი ბიდონი ბენზინი იყიდა კეიტ მაკლიურის მანქანისთვის, რომელიც ტრასაზე ჩაუქრათ. მადლიერების ნიშნად მან თავის მეგობარ მამაკაც მარკ დ'ამიკოსთან ერთად კრაუდფანდინგური კამპანია აამოქმედა, რათა ბობიტს ბინის დაქირავებაში დახმარებოდა.

თავდაპირველად ისინი 10 ათასი დოლარის შეგროვებას გეგმავდნენ, მაგრამ უკვე ერთი თვის თავზე შემოწირულობების თანხამ 300 ათას დოლარს გადააჭარბა. მაშინ მაკლიურმა და დ'ამიკომ უსახლკაროსთვის სახლისა და ავტომობილის ყიდვა, ხოლო დარჩენილი თანხის ანგარიშზე განთავსება ჩაიფიქრეს.

თუმცა, ბობიტის თქმით, წყვილმა შეპირებული სახლის ნაცვლად ის საკუთარ ნაკვეთში ბორბლებიან საცხოვრებელში შეასახლა და მისთვის ძველი პიკაპი შეიძინა, რომელიც მალევე გაფუჭდა.

თავის მხრივ, კეიტ მაკლიური ამტკიცებს, რომ ბობიტი მთელ ფულს ნარკოტიკებში ხარჯავდა და ის იძულებული გახდა, უსახლკარო მამაკაცის შემოწირულობაზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდა. წყვილმა გადაწყვიტა, დარჩენილი თანხა მისთვის აღარ მიეცა, სანამ ბობიტი ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან არ გათავისუფლდება და სამსახურს არ მოძებნის.

## ბრიტანელმა გოგონამ მეგობარი მამაკაცი მიატოვა და წონაში დაიკლო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა თავის მეგობარ მამაკაცთან დაშორების შემდეგ ხუთი ზომით დაიკლო.

ქალაქ კინგსტონ-აპონ-ჰალის მცხოვრებმა ბეტ კემპბელმა აღიარა, რომ სამი წელი იცხოვრა მამაკაცთან, რომელიც ასაკით მასზე გაცილებით უფროსი იყო. ისინი არც ისე აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ და სახლში ხშირად უკვეთდნენ ფასტფუდს. რაღაც მომენტში 25 წლის გოგონამ იმდენად დაკარგა საკუთარი თავის რწმენა, რომ საკუთარ თავს ქუჩაში გამოსვლასაც კი ვერ აიძულებდა. კემპბელი მას შემდეგ მიხვდა, რომ მკვეთრად უნდა შეეცვალა საკუთარი ცხოვრება, როდესაც შეყვარებულთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი ნახა და შეძრწუნდა.

გოგონა მამაკაცს დაშორდა და სახლში სპორტით დაკავდა. ის ინტერნეტში გამოქვეყნებულ ვიდეორგოლებს ნახულობდა და იმის მიხედვით ვარჯიშობდა. მან ასევე უარი თქვა ტკბილეულსა და ფასტფუდზე და ბევრი ბოსტნეულისა და ცილებით მდიდარი საკვების მიღებაზე გადავიდა. მალე კემპბელმა გამბედაობა მოიკრიბა და სპორტულ დარბაზშიც დაიწყო სიარული.

შედეგად გოგონამ მოახერხა, XXL ზომიდან XS ზომამდე ჩამოსულიყო. მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და სპორტულ დარბაზში კვირაში ხუთ დღეს ვარჯიშობს.

ცეკვის აკადემია
თელა

გიწვევთ
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად

მსურველები მიიღებიან
ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08

## დათვი ტურისტებს თავს დაესხა და ბავშვი დააშავა

აშშ-ის იელოსტოუნის ეროვნულ პარკში 10 წლის ბავშვს თავს დათვი დაესხა. ამ ინფორმაციას ფოქს ნიუსი ავრცელებს.

ბავშვი მტაცებელ ცხოველს პარკში სეირნობის დროს გადაეყარა, სადაც ის მშობლებთან ერთად იმყოფებოდა. დათვი მოულოდნელად გამოვარდა ბუჩქნარიდან და ადამიანებისკენ გაქანდა. ბავშვმა გაქცევა ცადა, მაგრამ მტაცებელი მას სწრაფად დაეწია და წააქცია. ამ დროს მშობლები შეეცადნენ, ამოეღოთ აეროზოლი, რომელიც დათვების დასაფრთხობადაა განკუთვნილი. როდესაც ის ცხოველს შეასხეს, მან ბავშვს თავი ანება და გაიქცა.

ამის შემდეგ ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ხელის მტევანი აქვს დაზიანებული, ასევე ნაჭრილობევები ეტყობა ზურგსა და დუნდულებზე.

## მამამ შვილი ოთხმეტრიან პითონს გამოსტაცა



განაში ფერმერმა მოკლა უზარმაზარი პითონი, რომელიც პატარა ბავშვს თავს დაესხა.

38 წლის ეკლუ ავაილი ამტკიცებს, რომ მას თავისი თითქმის ერთი წლის გოგონას ყვირილი უცნაურად მოეჩვენა. ის მისკენ გაიქცა და დაინახა, რომ ჩვილის გადაყლაპვას ოთხმეტრიანი ქვეწარმავალი ცდილობდა.

მამაკაცი პითონის გაგდებას შეეცადა, მაგრამ ის მას გარს შემოეხვია. ფერმერმა მოასწრო და გველს ხელი კისერში სტაცა, ზედ თოკი გადააცვა და ასე მოახერხა მისი დამარცხება.

პითონის დამარცხების შემდეგ ფერმერმა მკვდარი ქვეწარმავალი ქალაქის მოედანზე მიათრია და ადგილობრივებს უჩვენა. ამის შემდეგ ის მეუღლესთან და ბავშვთან ერთად საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად მივიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 აგვისტოსთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5712

ევრო — 2.9849

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3019

100 რუსული რუბლი — 3.8149

**ამინდის პროგნოზი 29 აგვისტოსთვის**




## ფილმ „საქართველოს“ გადაღებები იწყება

რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე ექვთიმე თაყაიშვილზე ფილმის დასრულების შემდეგ ახალ პროექტს შეეჭიდა.

„საქართველო“ — ასე ეწოდება მიუზიკლის ჟანრის ფილმს, რომელიც ქართული ცეკვის, სიმღერისა და ღვინის ისტორიას მიეძღვნება.

შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაღებებისთვის საჭირო ადგილები მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე შეარჩია და ჯუთაში ფილმის პირველი სცენისთვის რეპეტიციაც გაიარა.

სპეციალური ვიდეორგოლი, რომელიც ამ რეპეტიციას მიეძღვნა, ინტერნეტში გავრცელდა. ვიდეომ ათასობით ნახვა, მოწონება და გაზიარება მოიპოვა.

## ანუკა მურვანიძე უცხოელების მიერ საქართველოს ქალაქების დანაწილებას აპროტესტებს

ვიზაჟისტი ანუკა მურვანიძე უცხოელების მიერ საქართველოს ქალაქების დანაწილებას საჯაროდ აპროტესტებს:

— თბილისი — არაბებს, ბათუმი — თურქებს, ქობულეთი — სომხებს, მცხეთა — ოსებს, ახალციხე — სომხებს, დავიდ გარეჯი — აზერებს, თელავი — რუსებს. რაც წაიღეს რუსებმა, ჰო ისედაც მაგათია. ჰოდა, ვიჯდეთ ჩვენ და ველოდოთ გადამრჩენელს.. ოღონდ რომელ კუთხეში ვიჯდებით, დავაბაროთ, რომ მოგვაგნოს.

## ლევან ხურცია ქართველებს: „როდის მიხვდები, რომ პირჯვარს ამოფარებული სხვისკენ თითს არ უნდა იშვერდე?“

რუსთაველის თეატრის მსახიობი ლევან ხურცია ქართველებს მეტ დაფიქრებას სთხოვს:

— ჩემო ძვირფასო ქართველო! როდის არ იქნები ორად და სამად გახლეჩილი? როდის არ იქნები „ვინმისტი“ და იქნები მშობლისტი, ოჯახისტი, ქვეყნისტი? როდის მიხვდები, რომ არ გაქვს უფლება გაანადგურო ეს მიწა...? როდის მიხვდები, რომ შენ უნდა იმუშაო შენს მიწაზე და არა სხვამ? როდის მიხვდები, რომ არის „კაცი“ და არის „ქალი“ და სხვა ყველა გაგება არის სერიოზული გადახრა და მანკიერება, რომ უბრალოდ ბუნების კანონს, მდედრი და მამრი, ეწინააღმდეგება?

როდის მიხვდები, რომ შურით გაბოროტებული არ იყო და შენც ხელი გაანძრიო? როდის გაიგებ, რომ მთავრობა ვერასოდეს გიშველის, თუ შენ არ ისწავლე კანონის, მორალის, შენი ქვეყნის და უბრალოდ ერთმანეთის პატივისცემა?

როდის მიხვდები, რომ პირჯვარს ამოფარებული სხვისკენ თითს არ იშვერდე და ბოროტების შეგეშინდეს? როდის გადაეჩვევი ღალატს და ცილისწამებას? როდის მიხვდები, რომ ვერ განვითარდები, თუ წარსულს და შენს ფესვებს დაივიწყებ? და როდის მიხვდები, რომ ფარისევლობა და „ვაზელინი“ დღეს გაგახარებს, მაგრამ ხვალ გაგანადგურებს უკიდეგანოდ?!

ქართველო — შენ ქრისტიანი ხარ, ხომ გახსოვს? ჰოდა, მე, შენნაირ ქართველს, ძალიან მიყვარხარ... ღვთისმშობლის მადლი და ძალა ფარავდეს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ოჯახებს მეგობრებო!

## ქეთი მელუამ ახალი ალბომი ჩაწერა

მომღერალმა ქეთი მელუამ ახალ ალბომი ჩაწერა. დედოფალ ელისაბედ მეორის რჩეულმა მომღერალმა ახალი კომპოზიციები გააერთიანა და ერთგულ მსმენელს მათ 5 ოქტომბერს წარუდგენს.

ქეთი მელუა წლებია უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი სიმღერები ათასობით მელომანს უყვარს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ქართველი მომღერლის კონცერტები სრული ანშლაგით მიმდინარეობს და ბილეთები რამდენიმე თვით ადრე იყიდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

ბიჭი გოგონას ეკითხება:

— გოგონი, შეიძლება, კინოში დაგპატიჟოთ?

— და მალდივის რას უწუნებ?

•••

ქალმა ჩვილი ბავშვი ექიმთან მიიყვანა. ექიმი ეკითხება:

— ბავშვი ძუძუთი კვებაზე გყავთ თუ ხელოვნურზე?

— ძუძუთი კვებაზეა!

— გაიხადეთ... ლიფი მოიხსენით...

ექიმი დიდხანს უსრესს ძუძუსთავებს და ბოლოს ეუბნება:

— ჰოო... რძე არ გქონიათ და ბავშვი იმიტომაცაა მშიერი!

— ექიმო, მე მისი დეიდა ვარ, მაგრამ თქვენთან სტუმრობით ძალიან ნასიამოვნები დავრჩი...

•••

პოლიციელი ფერმერს ესტუმრა და ეუბნება:

— ინფორმაცია მაქვს, რომ ნარკოტიკები მოგყავთ და თქვენი ფერმა უნდა დავათვალიერო.

— კი ბატონო, მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ იმ მდელოზე არ შეხვიდეთ...

პოლიციელმა ორდერი ამოიღო, ცხვირწინ აუფრიალა და ეუბნება:

— მე ორდერი მაქვს და, სადაც მომესურვება, იქ შევალ! გასაგებია?!

— თქვენი ნებაა, ბატონო პოლიციელო, შეგიძლიათ, სადაც მოისურვებთ, იქ შეხვიდეთ.

პოლიციელი მდელოსკენ გაემართა. ხუთი წუთის შემდეგ ფერმერი ხედავს, რომ პოლიციელი თავქუდმოგლეჯილი გარბის, უკან კი უზარმაზარი გააფთრებული ბუღა მისდევს. ფერმის პატრონი ღობეს მიადგა და პოლიციელს გასძახა:

— ორდერი უჩვენე, ორდერი!...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

— არამ, ჩაის ახალი პაკეტი რატომ აიღე?

— ძველს ძაფი გაუწყდა.

— მერე, ხელები არ გქონდა, რომ გადაგება?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა

— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები

— კანის დაავადებები

— უროლოგია

— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2

ტელეფონი: 2 47 91 12

10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

## პაკო ალკასერი კარიერას დორტმუნდის ბორუსიაში გააგრძელებს



ბარსელონის ფორვარდი პაკო ალკასერი ერთწლიანი იჯარით დორტმუნდის ბორუსიაში გადავიდა. ალკასერი უკვე გერმანიაშია და ის უახლოეს დღეებში კონტრაქტზე მოაწერს ხელს. პაკოს ბორუსიაში ტრანსფერზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ოფიციალურად ეს ტრანსფერი მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დადასტურდა. პაკო ბარსელონამდე ვალენსიის ღირსებას იცავდა, სადაც ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო, მაგრამ ბარსელონაში მან ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა, ამიტომ მისი კატალონიური გუნდიდან წასვლა ლოგიკურია.

## ჰატემ ბენ არფა, შესაძლოა, მილანში აღმოჩნდეს

ფრანგი შემტევი ნახევარმცველი ჰატემ ბენ არფა ამჟამად თავისუფალი აგენტია და თავისთვის ახალ კლუბს ეძებს. ბენ არფამ რამდენიმე თვის წინ პსჟ დატოვა და, შესაძლოა, ის მილანში აღმოჩნდეს. მილანის გარდა, ბენ არფას გადაბირება ლისაბონის სპორტინგსაც სურს და ჯერჯერობით უცნობია, რომელ გუნდზე შეაჩერებს არჩევანს ფრანგი ფეხბურთელი. ბენ არფა თავის დროზე ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლებოდა საფრანგეთში, მაგრამ მან იმედების გამართლება ვერ შეძლო.

## ბრაზილიელი რონალდო ვალიადოლიდის ყიდვას აპირებს

ბრაზილიელი ლეგენდა რონალდო ესპანური კლუბის ვალიადოლიდის ყიდვას აპირებს. რონალდო, სავარაუდოდ, 30 მილიონ ევროს გადაიხდის და უახლოეს დღეებში ის ესპანეთში ჩაფრინდება. დაახლოებით ერთი თვის წინ რონალდომ განაცხადა, რომ ის საფეხბურთო კლუბის ყიდვას აპირებდა, მაგრამ ამ გუნდის სახელი არ დაუკონკრეტებია. იყო საუბრები ინგლისურ კლუბებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, რონალდომ არჩევანი მისთვის კარგად ნაცნობ ესპანეთზე შეაჩერა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. მიზანში ზუსტად მსროლელი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. საყოველთაოდ აღიარებული აზრის, მსჯელობის საწინააღმდეგო მკვეთრად განსხვავებული შეხედულება; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. მსუსხავი ბალახი; 8. არგენტინის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ტკბილეული, დესერტი; 14. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმანთა მარხვა; 7. ორლოპოტიანი ნიჩბით სამართავი სპორტული ნავი; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. ქართული საბავშვო ჟურნალი; 11. ხორვატიის დედაქალაქი; 13. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 19. ფარული დაცინვა; 20. ლირიკული სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*